ეროვნული უნივერსიტეტი

85

30 აპრილი, ორშაბათი, 2012 წ. №5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი სამკითხველო დარბაზები თსუ-ის პირველ კორპუსში

გვ. 6

თსუ-სა და საბანკო სექტორს შორის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა

გვ. 2

სამეცნიერო ოჯახის დიდი დიასახლისი

ნინო ჯავახიშვილი:

არ შეიძლება ახალი თაობა არ იყოს შენზე უკეთესი. მათ მეტი რამ იციან... მიხარია, რომ არის ხალხი, რომელსაც მეცნიერება აინტერესებს. მომწონს მათი მიზანდასახულობა... საერთოდაც, არასოდეს ვყოფილვარ სიახლეებისადმი ცუდად განწყობილი...

გვ. 9

თსუ — აბიტურიენტების ნომერ პირველი არჩევანი

რატომ თსუ?

ანა ინაძე — „გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით, პრესტიჟულია“;

ქეთი არაყიშვილი — „სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვაბარებ და კმაყოფილი ვარ მათი სასწავლო პროგრამით“;

გიორგი ფერაძე — „თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი საქართველოში სამართლის საუკეთესო სკოლად ითვლება “;

ქეთი ალადაშვილი — „სწავლების მაღალი დონეა, პირველი ქართული უნივერსიტეტია და თანაც, სწავლის საფასურიც მისაღებია“.

ასეთია აბიტურიენტების თვალით დანახული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია მათი ნომერ პირველი არჩევანია. 2012 წელსაც აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის თსუ ლიდერობს.

მე-3 გვერდზე

ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მომავალი ჟურნალისტები საზოგადოებრივ არხზე ოსტატდებიან

გვ. 8

კაცობრიობის განვითარების უწყვეტი პერიოდისთვის თვალის გადევნება ხოვლეგორაზეა შესაძლებელი

გვ. 3

საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პირველი ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმი

გვ. 5

უნივერსიტეტი სამეცნიერო კონკურსებში კვლავ ლიდერია

უკვე ტრადიციად იქცა, რომ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უპირობო ლიდერია. უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევარების მიერ ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების მიმართულებებით წარდგენილი პროექტები ექსპერტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც კვლევითი უნივერსიტეტი, საქართველოში მკვეთრად ლიდერობს.

მაია ტორაძე

2011 წელს უნივერსიტეტში ხორციელდებოდა 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი. აქედან 150-მდე პროექტს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აფინანსებს, 80-ზე მეტი კი — საერთაშორისო პროექტია.

სამეცნიერო კვლევებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იყო 14 მილიონ ლარზე მეტი (რაც უნივერსიტეტის ბიუჯეტის 29 პროცენტია), საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან კი მოზიდულია 4 მილიონ ლარზე მეტი (უნივერსიტეტის ბიუჯეტის 9 პროცენტი). ამჟამად გამარჯვებული პროექტების ჯამური ღირებულებაა 2 730 698 ლარი.

როგორც ჩვენთან საუბარში თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ღვედაშვილი აცხადებს, მიმდინარე კონკურსზე უნივერსიტეტმა გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების თანადაფინანსებისთვის პირველად გამოყო თანხები, რაც მეცნიერთათვის გარკვეული სტიმულის მიმცემი და პროექტის წარმატების ერთგვარი წინაპირობაა. „გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული კვლევები არის ჩვენი მომავალი და იმის საწინდარი, რომ შეიქმნას მეცნიერებატევადი პროდუქცია, რომელიც მომავალში უნივერსიტეტს მოგებას მოუტანს. წელს ეს პირველად გაკეთდა და გამოყენებით კვლევებში უნივერსიტეტის თანადაფინანსებამ 146 047 ლარი შეადგინა.

საყურადღებოა, რომ ტომსონის ბაზის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მაღალრეიტინგულ/იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში გასულ წელს გამოქვეყნებულია 541 სტატია (შედარებისთვის, 2009 წელს ეს მაჩვენებელი იყო 105 სტატია, ხოლო 2010 წელს — 145 სტატია). ამ მაჩვენებლის მკვეთრ ზრდას ხელი შეუწყო იმან, რომ უნივერსიტეტს გასულ წელს ძალზე ძლიერი სამეცნიერო ინსტიტუტები შემოუერთდა.



„ჩვენ, ტრადიციულად, ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ უნივერსიტეტის სახელით გაგზავნილი პროექტები იყოს გამართული და უშეცდომო. ბოლო წლებში, რაც ჩვენ წარდგენილი გრანტების წინასწარი შემოწმება დავიწყეთ, კონკურსიდან მოხსნილი პროექტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ამის შედეგია ის, რომ 2011 წელს თსუ-დან წარდგენილი 312 პროექტიდან მხოლოდ 2 პროექტი მოიხსნა, ისიც დასანანი უმნიშვნელო უყურადღებობის გამო“, - განაცხადა გიორგი ღვედაშვილმა.

ფუნდამენტური კვლევების კონკურსში სულ 35 პროექტი დაფინანსდა, აქედან თსუ 9 პროექტში წამყვანი უნივერსიტეტია (შედარებისთვის, ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებული პროექტებიდან მეორე ადგილზე დგას

მე-7 გვერდზე

მედიაციის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოში დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმების დანერგვა დაიწყო. უკვე შეიქმნა ქვეყანაში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის ამოქმედებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა. იწყება ქართველი პროფესორების მომზადება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების სამართალში და მისი, როგორც სასწავლო კურსის სამართალმცოდნეობის პროგრამებში ინტეგრირების პროცესი. უახლოეს მომავალში თბილისის საქალაქო სასამართლოში მედიატორთა საპილოტე პროგრამაც განხორციელდება. საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობს თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, რომელიც ამერიკელ ექსპერტებთან ერთად მუშაობს. აღსანიშნავია, რომ მედიაციის ინსტიტუტი ამერიკაში რამდენიმე ათეული წელია წარმატებით ფუნქციონირებს და შესაბამისად, ქვეყანაში დავების მოგვარების ახალი სისტემის დანერგვისას, მათი გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ნატო ოგოლაძე

27 აპრილს თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალურმა ცენტრმა 2012 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია გამართა. ცენტრი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სამართლის სფეროს განვითარების მიზნით მუშაობას რამდენიმე მიმართულებით აპირებს — იზრუნებს საქართველოში მედიაციისა ინსტიტუტისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების დანერგვაზე, რაც იურიდიული და სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებაში გამოიხატება; იმუშავებს მედიაციის ინსტიტუტის სრულყოფისათვის მედიატორების ეთიკის კოდექსის მომზადებაზე; უცხოელი ექსპერტების დახმარებით ჩაატარებს ტრენინგებს პროფესორმასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის; საზოგადოებაში მედიაციის პოპულარიზაციის მიზნით გამართავს სტუდენტურ ეროვნულ კონკურსს; თსუ-ის ბაზაზე ამოქმედდება დავების ალტერნატიული გადაწყვეტის სამართლის ბიბლიოთეკა და დაიწყება ამავე თემატიკის ჟურნალის გამოცემა; ცენტრში ასევე გეგმავენ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების სამართლის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო პროგრამებში შეტანასაც.

თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის 2012 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების წარმომადგენლები და ცენტრის პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები დაესწრნენ.

„დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით ჩვენ მთელი რიგი ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი. უკვე გავიარეთ აკრედიტაცია ორ ტრენინგზე მედიაციასა და არბიტრაჟში, რომელიც თბილისსა და ქუთაისში ჩატარდება. ამ მიმართულებით ვგეგმავთ საზაფხულო სკოლის პროექტის განხორციელებას, რომელში მონაწილეობის მიღებაც საქართველოს მასშტაბით იურიდიული ფაკულტეტების ყველა სტუდენტს შეეძლება. პარალელურად შევისწავლით ქვეყანაში არსებულ სიტუაციასაც, რათა გავიგოთ, რა დამატებითი ღონისძიებებია საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტებმა წარმატებით იმუშაონ,“ — განაცხადა თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა თეა იმედაძემ.

თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით შეიქმნა. ცენტრის ოფიციალური პარტნიორები კი „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ (EWMI) პროექტი „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამა“ (EWMI) და აშშ-ის სამხრეთ ტეხასის იურიდიული სკოლა გახლავთ. სწორედ მათთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის 2012 წლის სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა-განვითარება საქართველოში საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე მოხდება. ამ საკითხებზე თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის აკადემიური დირექტორი ლევან ჯანაშია და პროფესორი გიორგი ცერცვაძე აშშ-ის ტეხასის სამართლის სკოლაში ერთი თვის განმავლობაში მუშაობდნენ. მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მიმდინარე წლის შემოდგომაზე გახდება ცნობილი.

„საკანონმდებლო თუ არასაკანონმდებლო დონზე მედიაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისთვის აქტიური ნაბიჯები უკვე გადადგმულია. თუმცა, ცხადია, ეს საკმარისი არ არის. ამ პროცესში ჩართულია სასამართლო და ნოტარიუსთა პალატაც. ვფიქრობთ, თუ ასე აქტიურად განვაგრძეთ მუშაობა, მედიაციის ინსტიტუტი უახლოეს მომავალში პილოტირებულ რეჟიმში ამოქმედდება,“ — აღნიშნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე 2012 წლის იანვრიდან გახდა შესაძლებელი. პირველად მედიატორთა საპილოტე პროგრამა თბილისის საქალაქო სასამართლოში ამოქმედდება. ამ პროცესში სასამართლო თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალურ ცენტრთან და მის პარტნიორ ორგანიზაციებთანაც ითანამშრომლებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ლაშა კალანდაძემ მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ინიციატივაც წამოაყენა.

„ჩვენი შეხვედრა მედიაციის ინსტიტუტის პოპულარიზაციასა და მის პრაქტიკაში განხორციელებას ეძღვნება. ამ ინსტიტუტს ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია. იგი უნდა დაეხმაროს მოდავე მხარეებს, მივიდნენ ურთიერთსასარგებლო შეთანხმებამდე. დავის გადაწყვეტის ეს ალტერნატიული მექანიზმი ნელნელა უნდა შემოვიტანოთ საზოგადოებაში, რათა მის მიმართ ნდობა თავიდანვე გაჩნდეს. ჩვენ ვაპირებთ კონკურსის გამოცხადებას სასამართლო მედიატორებისთვის. თავიდან 10-დან 15-მდე კადრი შეირჩევა. მათი ძირითადი ფუნქცია სამეზობლო, საოჯახო, მცირე ბიზნესთან დაკავშირებული და სხვა დავების მოგვარება იქნება. შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრაში უცხოელი კოლეგები და საქართველოში მათი წარმომადგენლები აქტიურად გვეხმარებიან. შესაძლებელია, რომ მედიატორის უნარ-ჩვევები იურისტების გარდა სხვა პროფესიის ადამიანებსაც აღმოაჩნდეთ, ამიტომ ამ მხრივ შეზღუდვა არ გვექნება. თუ რომელი პროფესიის წარმომადგენლები იქნებიან ამ მიმართულებით ყველაზე წარმატებულები, პრაქტიკა გვიჩვენებს. “ — განაცხადა ლაშა კალანდაძემ.

თსუ-ში გამართულ შეხვედრას „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)“ პროექტის „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამის (EWMI)“ ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი ჩხეიძეც დაესწრო. მან საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის განვითარების პროცესში თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის მუშაობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ცენტრს მთელი რიგი ღონისძიებები აქვს დაგეგმილი, რაც საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის პროექტები, რომლებიც აკადემიურ სფეროში მედიაციის სწავლების დანერგვას ითვალისწინებს. ჩვენ მოხარულები ვართ, ამ პროცესში მათ მხარდაჭერა გავუწიოთ. ასევე ვითანამშრომლებთ მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებთან პილოტური სასამართლო მედიაციის განვითარების მიზნით,“ — გვითხრა გიორგი ჩხეიძემ.

თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, მედიაციის გარდა, არბიტრაჟის საკითხებზეც აქტიურად მუშაობს. 27 აპრილს გამართულ შეხვედრაზე ცენტრის თანამშრომლის, თსუ-ის პროფესორის გიორგი ცერცვაძის ინგლისურენოვანი წიგნის „არბიტრაჟის შესახებ კანონის მოკლე კომენტარის“ პრეზენტაციაც გაიმართა. გამოცემის მიზანი საზოგადოებისთვის არბიტრაჟის შესახებ კანონში მოცემული ძირითადი დებულებების გაცნობა გახლავთ.

თსუ-სა და საბანკო სექტორს შორის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა

თამარ დადიანი

სტუდენტთა პრაქტიკული დაოსტატების მიზნით 24 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საბანკო სექტორს, საბანკო ასოციაციასა და საბანკო ტრენინგების ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, უნივერსიტეტის სტუდენტები სასწავლო პრაქტიკასა და სტაჟირებას წამყვან საბანკო ინსტიტუტებში გაივლიან, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით გამდიდრებას და გაზრდის სტუდენტთა შემდგომი დასაქმების პერსპექტივასაც.

მემორანდუმის მიზანია საბანკო სისტემაში სტუდენტების აქტიური ჩართვა და მათთვის სასწავლო პრაქტიკის და სტაჟირების შეთავაზება. მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად საბანკო სექტორის წარმომადგენლები თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად სამუშაო ჯგუფებს ჩამოაყალიბებენ.

„სტუდენტებს საშუალება ექნებათ გამოიყენონ ბანკების რესურსები და დაეუფლონ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სხვადასხვა ფინანსური საკითხების კვლევისა და ანალიზისთვის სტუდენტები ადგილზე მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას საბანკო ოპერაციების, საბანკო საქმიანობის სპეციფიკის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ ეს პარტნიორობა წარმატებული იქნება, როგორც ჩვენი სტუდენტებისთვის, ასევე, ბანკებისთვის”, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„საქართველოს ბანკის” გენერალური დირექტორის მოადგილემ არჩილ გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ პარტნიორობის ახალი ეტაპი, რომელიც თსუ-სა და „საქართველოს ბანკს” შორის დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანია. „ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ახალ კადრებს, მით უმეტეს ისეთი მოწინავე უნივერსიტეტისა, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. საზღვარგარეთ, ყველა პრესტიჟულ უნივერსიტეტს აქტიური დასაქმების სერვისი აქვს. საქართველოში კი ეს მხარე ნაკლებად არის განვითარებული. დღევანდელი შეხვედრა კარგი დასაწყისია მომავალი თანამშრომლობისთვის. ჩვენი ინტერესია, რომ ბანკში ნიჭიერი სტუდენტები დავასაქმოთ და დეტალურად შევასწავლოთ ის უნარ-ჩვევები, რაც საბანკო სექტორის სპეციალისტმა უნდა იცოდეს. ეს კარგი ინიციატივაა და ნაყოფიერ თანამშრომლობასაც ველოდებით“, — აღნიშნა არჩილ გაჩეჩილაძემ.

საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს და აღნიშნა, რომ მათ ინტერესებში შედის, პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების მქონე სტუდენტების მოსვლა საბანკო სექტორში: „ჩვენ აქცენტები ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებაზე გავაკეთეთ, განსაკუთრებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, ვინაიდან იგი ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო ცენტრია. საბანკო სექტორი ყოველთვის ითხოვს გამოცდილ სპეციალისტებს, სტუდენტისთვის კი სტაჟირება პრაქტიკული ცოდნის მიღების საუკეთესო საშუალებას იძლევა. დასაქმების შემთხვევაში კი, მათ, რა თქმა უნდა, ანგარიში გაეწევათ“.

უნივერსიტეტი მსგავს ურთიერთთანამშრომლობას გეგმავს სხვა სამრეწველო თუ სავაჭრო საწარმოებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთანაც. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს „საქართველოს ბანკის”, „თი-ბი-სი ბანკის”, „ლიბერთი ბანკის”, „ბანკი რესპუბლიკას”, „პრივატ ბანკის”, „ვითიბი ბანკი — ჯორჯიას”, „ბაზის ბანკის”, ბანკი „კონსტანტას” და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოს” წარმომადგენლებმა, ასევე, საქართველოს ბანკების ასოციაციისა და საქართველოს საბანკო ტრენინგების ცენტრის ხელმძღვანელებმა.

ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲐ ᲮᲝᲕᲚᲔᲒᲝᲠᲐᲖᲔᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ხოვლეგორა ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს, მაგრამ უკვე დადასტურებულია, რომ სპეციალისტებს შეუძლიათ სწორედ აქ აღმოჩენილი ნაშთების მიხედვით კაცობრიობის განვითარების 1100-წლიანი ისტორია უწყვეტად აღადგინონ. ამის გამო ხოვლეგორამ საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. უნიკალური აღმოჩენით უცხოელი სპეციალისტებიც დაინტერესდნენ.

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

15-16 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და ავსტრიის ინსბრუკის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ხოვლეგორაზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო, სადაც ქართველ სტუდენტებთან ერთად ინსბრუკის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლებიც მუშაობენ. არქეოლოგები ამ ეტაპზე ნამოსახლარის ტექნიკურ ანალიზს გააკეთებენ.

ხოვლეში გათხრები ჯერ კიდევ 50 წლის წინ დაიწყო და ჯერ კიდევ მაშინ გაკეთდა უნიკალური აღმოჩენები. პროფესორ გურამ გრიგოლიას ინფორმაციით, ქართველმა არქეოლოგებმა ბორცვი – ნასახლარი ამ ტერიტორიაზე 1954 წელს აღმოაჩინეს, 1955 წელს კი, ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივითა და აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, აქ სტაციონალური გათხრები დაიწყო, რომლის დროსაც გამოვლინდა ძალიან საინტერესო დეტალები და სტრატოგრაფიაც გაკეთდა. არქეოლოგიური გათხრები ამ ტერიტორიაზე 1961 წლის ჩათვლით მიმდინარეობდა, თუმცა შემდეგ სხვადასხვა მიზეზის გამო შეჩერდა. ხოვლეგორაზე ნაპოვნმა არტეფაქტებმა გამოავლინა საკმაოდ დიდი პერიოდი — ძველი წელთაღრიცხვის XIV–XV საუკუნეებიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, იგი ადამიანის განვითარების უწყვეტ ეტაპს ასახავს, რაც მსოფლიოში უპრეცედენტო აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს.

სპეციალისტების ინფორმაციით, ხოვლეგორას ძალიან დიდი არქეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდის უამრავი ნაშთი მიუთითებს იმაზე, რომ აქ იყო საცხოვრებელი ნაგებობები, ხუროთმოძღვრების ძეგლები, გალავანი, დარბაზები, სამეურნეო უჯრედები, საკულტო ნაგებობები და სხვა, რომელიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. გათხრების შედეგად აღმოჩნდა დამცავი ნაგებობა — ქვის გალავანი, რომელიც, სავარაუდოდ, მთლიანად ეკრა ნამოსახლარს; გაითხარა სამეურნეო დანიშნულების ორი ორმო, რომელიც, არქეოლოგთა ვერსიით, მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა. იკვეთება საცხოვრებელი ოთახის ან საკულტო დანიშნულების ნაგებობა, რომელშიც სანაცრე ადგილია გამოყოფილი. შეფენილ გორაკზე დაგებული იყო ქვაფენილი, სადაც გათხრების შედეგად აღმოჩნდა იატაკის ოთხი ფენა, რაც ხოვლეგორაზე ხანგრძლივი ცხოვრების არსებობაზე მიუთითებს.

ექსპედიციის ხელმძღვანელები არიან თსუ-ის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი და ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორი ვოლტერ კუნტნერი.

„ხოვლეგორას არქეოლოგიური ექსპედიცია თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეს ერთობ უნიკალური ძეგლი, რომელიც გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანას განეკუთვნება, ჯერ კიდევ შესასწავლია. იმისათვის, რომ ინსტიტუტმა უზრუნველყოს სამივე დონის სტუდენტების მონაწილეობა ამ გათხრებში, აუცილებელია ფინანსური და საორგანიზაციო საქმეების მოგვარება, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ერთობლივი პროექტი განგვეხორციელებინა ინსბრუკის უნივერსიტეტთან ერთად. მეორე წელია, რაც ჩვენ ამ პროექტის ფარგლებში ვამზადებთ არქეოლოგიურ მონაცემებს იმის დასასაბუთებლად, რომ ხოვლეგორა და მისი მიმდებარე ტერიტორია სრულიად განსაკუთრებული არქეოლოგიური ძეგლია ცენტრალურ ამიერკავკასიაში. აღსანიშნავია, რომ, მეცნიერული პრობლემატიკის თვალსაზრისით, ხოვლეგორას მონაცემები ძალიან დიდ და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. ეს არის, ე.წ. გარდამავალი პერიოდებისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალა, რომელიც კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ტრანსფორმაცია ბრინჯაოს ხანის კულტურებიდან რკინის ხანის კულტურამდე. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ამ პროექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგის მიმართულების ყველა დონის სტუდენტი მონაწილეობს“, — ამბობს ვახტანგ ლიჩელი.

ქართველი და უცხოელი სპეციალისტები კასპის რაიონის ისტორიულ ტერიტორიაზე უკვე გამოკვლეულ და ამ დრომდე ხელშეუხებელ ადგილებსაც შეისწავლიან. ექსპედიციის მონაწილეთა გადაწყვეტილებით, ხოვლეგორას ნამოსახლარი გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ ამჯერადაც დაკონსერვდება, მაგრამ გათხრები მომავალ წელს აუცილებლად გაგრძელდება.

თსუ — ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

პირველი გვერდიდან

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად 41 000-მდე აბიტურიენტი ემზადება და აქედან 12 800-ის პრიორიტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვედრაა. საერთო ჯამში კი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის ბაზაში თსუ 41 536-ჯერ არის არჩეული. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით მაღალია.

„ვფიქრობთ, აბიტურიენტების არჩევანი გასაკვირი არ არის. ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება საქართველოში მთავარი უმაღლესი სასწავლებელი. ეს ახალგაზრდებსაც კარგად ესმით, ამიტომ აბიტურიენტები არჩევანის გაკეთების დროს, ბუნებრივია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ანიჭებენ უპირატესობას.

მაია გაბუნია

2005 წლიდან, ანუ იმ დროიდან, რაც გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება დაიწყო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიდი არჩევანის მიუხედავად, უპირობო ლიდერია.

ყველაზე დიდი კონკურსი ისევ სამართლის, ეკონომიკის, ტურიზმის, ბიზნესის პროგრამებზეა, თუმცა გასული წლიდან უკვე შეიმჩნევა სასიამოვნო ცვლილებაც: ბოლო ორი წელია საბუნებისმეტყველო სპეციალობებზე განცხადების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა.

ცხადია, ეს იმის შედეგია, რომ სახელმწიფომ ეს მიმართულებები პრიორიტეტულად გამოაცხადა. გაიზარდა მათი დაფინანსების წილიც. ამასთან, ვთვლი, რომ ახალგაზრდებმა ამ მიმართულებით დასაქმების პერსპექტივაც დაინახეს“, — განაცხადა ერთიანი ეროვნული გამოცდების ეროვნული ცენტრის რეგისტრაციების მთავარმა სპეციალისტმა მაია გაბუნიამ.

წელს თსუ-ში პირველ კურსზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა შეცვლილია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 750-ის ნაცვლად 1000 სტუდენტს მიიღებენ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 800-ის ნაცვლად — 900-ს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 650-ის ნაცვლად — 800-ს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 750-ის ნაცვლად — 1150-ს, მედიცინის ფაკულტეტზე ეს რიცხვი 200-მდე გაიზარდა. ერთადერთი ფაკულტეტი, სადაც მისაღები კონტინგენტის რაოდენობა შემცირდა იურიდიულია. სამართლის მიმართულებებზე 2012-2013 სასწავლო წელს 750-ის მაგივრად 450 პირველკურსელი ისწავლის.

აღსანიშნავია, რომ ექვსივე ფაკულტეტზე კონკურსი საკმაოდ მაღალია.

მისაღები სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ახალგაზრდების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზეც. წელს თითოეულ პროგრამაზე 192-ის მაგივრად 228 სტუდენტის ჩარიცხვა იგეგმება — კონკურსი კი, შარშანდელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები მესამე წელია მოქმედებს და საქართველოს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებში თანდათან პოპულარული ხდება. სომხურ და აზერბაიჯანულენოვან პროგრამებზე მოთხოვნის გაზრდა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ფარგლებს სცდება, რადგან მათი წარმატებული ფუნქციონირება სახელმწიფოსთვის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

კახა გაბუნია

„ამ პროგრამის სილაბუსები და სტრუქტურა 2009 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით გაკეთდა. ჩვენ მოვიწვიეთ სხვა უმაღლესი სასწავლებლები. ობიექტურად თუ შევაფასებთ, დღეს საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი აბარებს, მაგრამ ამ ბავშვების უმრავლესობა თსუ-ს ირჩევს. მიზეზი ორია — პირველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი საქართველოს სომხურ და აზერბაიჯანულენოვან საზოგადოებაში ძალიან პრესტიჟულია და მეორე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურასა და ჩვენი ორგანიზაციის „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ გუნდს ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის. ჩვენ 2002 წლიდან დავიწყეთ ამ საკითხებზე მუშაობა და საქართველოში მცხოვრებ სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან შეხვედრები. ვფიქრობ, ამ რეგიონში ყოველთვის დიდი მოთხოვნა იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე“, — განაცხადა თსუ-ის სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი პროგრამების ხელმძღვანელმა, პროფესორმა კახა გაბუნიამ.

აბიტურიენტების არჩევანის მიხედვით უმაღლესი სასწავლებლების ზუსტი რეიტინგის დადგენა შესაძლებელი გახდა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის დანერგვის შემდეგ. შედეგების მიხედვით კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საზოგადოებაში ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს, რასაც დიდწილად თსუ-ის ტრადიციები და მისი დამფუძნებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი განაპირობებს. თუმცა, თსუ-ის პოპულარობას ტრადიციებთან შეთავსებული უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტებიც იწვევს. აღსანიშნავია „საბავშვო უნივერსიტეტის“ როლიც.

„მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველა უმაღლეს სასწავლებელს დაერქვა უნივერსიტეტი და გაძლიერდა კონკურენცია, თანაც ამ კონკურენციაში ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები ჩაერთო, როგორიც არის გადასახადების სიდიდე, კონტაქტი უცხოეთთან, აპელირება სწავლების თანამედროვე მეთოდებზე და სხვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარობა მაინც გაიზარდა. განათლების სისტემის მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული ნიჰილიზმისა და სკეპტიციზმის მიუხედავად, თსუ-ის აბიტურიენტების რაოდენობა დიდია და ჩვენ ამით ძალიან ვამაყობთ. რა თქმა უნდა, საზოგადოების ნდობა და პატივისცემა ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის დაფასებით იწყება, მაგრამ, ვფიქრობ, თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტმაც“ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზე. მიზეზ-შედეგობრივად ასე ჩანს — ბოლო რამდენიმე წელია გააქტიურდა „თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი“ (ეს რექტორატის, ადმინისტრაციისა და, პირველ რიგში, თსუ-ის პროფესორებისა და თანამშრომლების დამსახურება) და შედეგად გაიზარდა თსუ-ში ჩაბარების მსურველთა რიცხვი. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წელს ჩვენ ბევრ წარმატებულ პროექტს თსუ-ის სტუდენტების მონაწილეობით ვახორციელებთ. ასეთი იყო, მაგალითად, პროექტი “თსუ-დესპანი”, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივით განხორციელდა. „თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის“ სკოლებთან მუშაობის ფორმატი სხვადასხვაგვარია - მოსწავლეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ასევე, ადგილობრივად, თავიანთ სკოლებშიც შეუძლიათ ჩვენი პროფესურის ლექციების მოსმენა. ვატარებთ სხვადასხვა ვიქტორინებსა თუ კონფერენციებს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა, „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა მარინა ლომოურმა.

გარდა „საბავშვო უნივერსიტეტისა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტებისთვის სათანადო ცოდნის მიცემის მიზნით, არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. მაგალითად, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს სწავლის გაგრძელება იმ პროგრამებზეც შეუძლიათ, რომლებიც წამყვან უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად ხორციელდება, მოქმედებს უცხოენოვანი მაგისტრატურა, თსუ ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ „ერასმუს მუნდუს“-ის პროგრამაში, რომელიც ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობას გულისხმობს და სხვა. რა თქმა უნდა, სასწავლო პროცესში არსებობს ხარვეზებიც, თუმცა პრობლემები ეტაპობრივად გვარდება. ამას სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის პერმანენტულად მიმდინარე დიალოგებიც მოწმობს.

როგორ წამოვიწყოთ წარმატებული ბიზნესი

ლექცია ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის

თამარ დადიანი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაცია საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ეფექტურად მუშაობს საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებთან. ამ უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები მთელი სასწავლო წლის მანძილზე სტუდენტებს უკითხავენ ლექციებს სხვადასხვა ეკონომიკური საკითხების შესახებ.

ერთერთი ასეთი ლექცია-სემინარი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 24 აპრილს გაიმართა. ვებსტერის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა: პროფესორმა ჯან პაულ ვან მარისინგმა, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ისლამ ქასემმა და ბიზნესისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არტურ დე ლა როზამ სტუდენტებს წაუკითხეს ლექცია თემაზე: „როგორ წამოვიწყოთ წარმატებული ბიზნესი“.

მათი ლექციები დაეხმარებათ სტუდენტებს ბიზნეს-გეგმის ჩამოყალიბებაში, ბიზნესგარემოს შესწავლასა და ორგანიზაციის მართვის სრულყოფაში, რაც ბიზნესის სფეროში სპეციფიკური ცოდნის და უნარების შეძენას ნიშნავს, ასევე, გამოუმუშავებთ იმ თვისებების, რომელიც აუცილებელია ბიზნესის კარიერულ საფეხურზე წინსვლისათვის.

საჯარო ლექციის მსვლელობაში მონაწილეობდნენ სტუდენტებიც. ლექცია სწავლების თანამედროვე მეთოდების - კონკრეტული სიტუაციების ანალიზის, საქმიანი თამაშების გამოყენებით მიმდინარეობდა. მოცემული მეთოდიკა საშუალებას აძლევს სტუდენტებს აითვისონ და განავითარონ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, შეიძინონ ჯგუფური მუშაობის გამოცდილება, გამოიმუშავონ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

ვებსტერის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა შეხვედრის მსვლელობისას ხაზი გაუსვეს ქართველი სტუდენტების მომზადების მაღალ დონეს და იმედი გამოთქვეს, რომ ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები

შურთხია ბეროშვილი

26-27 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა და აიპ ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ეგიდით, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატისა და სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით გაიმართა ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია, „ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები“. თსუ-ის სამაგისტრო პროგრამის „საქართველოს ისტორია“ და თსუ-ის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“.

კონფერენცია გახსნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ქართველოლოგიის დარგში ეროვნული მასშტაბის ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენციის მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რამდენად მისასალმებელია ახალგაზრდა მკვლევართა ინიციატივა და მონაწილეობა ამ საქმეში.

ითქვა, რომ ქართველოლოგია ინტერდისციპლინური სამეცნიერო დარგია, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის ყოველმხრივ შესწავლას. ამ სფეროში მოღვაწეობდა და დღესაც არაერთი ცნობილი მეცნიერი მოღვაწეობს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ქართულ ცივილიზაციის კვლევასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა სათანადოდ არის დამუშავებული, გამოქვეყნებულია შესაბამისი წყაროები, საილუსტრაციო მასალა. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი კვლავ ბევრი რჩება. თანამედროვე გამოწვევებისა და ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ინტენსიური მშენებლობის ფონზე დღეს ქართველოლოგიურ კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მნიშვნელოვანია უფროსი თაობის გვერდით ახალგაზრდა მეცნიერებმაც შეიტანონ თავიანთი წვლილი.

კონფერენციაზე ნაშრომები წარმოადგინეს საქართველოს 10 უნივერსიტეტის (თსუ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ხულოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი) 50-მდე სტუდენტმა.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები სტუდენტები იყვნენ — სოფო ქადაგიშვილი, მანუჩარ გუნცაძე, ზაზა ცინაძე, ზურაბ თარგამაძე, ნათია თურაზაშვილი, ნათია ხიზანიშვილი, ნონა მოთიაშვილი ეთერ ცერცვაძე, ნატო სონღულაშვილი.

მოხსენებების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და სხვადასხვა სფეროს (ისტორია, ფილოლოგია, არქეოლოგია, სამართლის ისტორია, კულტურული ანრთოპოლოგია, ეთნოლოგია და სხვა) მოიცავდა.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „საქართველოს ისტორია“ მაგისტრანტი მაია აბესაძე თავის ნაშრომში „როგორ იცავდა ქართულ იდენტობას წმინდა მამა გრიგოლ ხანძთელი“ შეეცადა წარმოეჩინა, რატომ არის ქართული იდენტობის ისტორიის შესწავლის პრობლემა დღეს მნიშვნელოვანი და აქტუალური. მისი აზრით, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობის საკითხების კვლევა ძალიან პოპულარულია როგორც საქართველოში, ისე დასავლეთში. ავტორი თავისი აზრის განსამტკიცებლად ეყრდნობოდა თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერის, ე.დ. სმითის შემოთავაზებულ მიდგომას. მაია აბესაძის მითითებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოკვეთილია ქართული იდენტობის მთავარი მარკერები: წარმომავლობა, რწმენა, ტერიტორია, ისტორიული მახსოვრობა და სხვა, სწორედ ამ მარკერთა შესახებ იყო მოხსენებაში საუბარი გიორგი მერჩულეს თხზულების მიხედვით.

თსუ-ის ჰუმანიტარულ ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“ დოქტორანტის გიორგი მაჭარაშვილის მოხსენების — „ერისა და არა ერის მნიშვნელობა ძველქართულში“ მიზანი იყო იმის ძიება, თუ რატომ არის საჭირო ეთნიკურობისა და ეროვნულობის გამომხატველი ძველი ქართული ტერმინების შესწავლა. მომხსენებელმა მიუთითა იმ სირთულეების შესახებ, რაც თან სდევს ასეთი სახის ტერმინოლოგიურ კვლევას. მოხსენების ძირითად ნაწილში წარმოდგენილი იყო მონაცემები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ძველქართულში სიტყვები „ნათესავი“ და „ერი“ ერთმანეთის სინონიმებია, როდესაც ისინი ნაციონალურობის აზრით გამოიყენებიან და აღნიშნავენ მთელი ქვეყნის მოსახლეობას. მოხსენებაში მოყვანილი იყო მაგალითები წმინდა წერილის ძველი ქართული თარგმანებიდან.

თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტი დიმიტრი სილაქაძე მოხსენებაში — „უცნობი ფურცელი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სამხედრო მოღვაწეობიდან“, შეეცადა ეჩვენებინა საქართველოს ეროვნული გმირის სამხედრო მოღვაწეობის ყველაზე საინტერესო და შეუსწავლელი პერიოდი — 1918 1921 წლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო მის მიერ მიკვლეული დღემდე უცნობი საარქივო მასალა.

ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტის ვიოლეტა ავეტისიანის მოხსენების თემა იყო „კულტურათა დიალოგი გრიგოლ რობაქიძის გველის პერანგის მხატვრულ სამყაროში“, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების დოქტორანტის შალვა ბუაძის მოხსენება „არქეოლოგიური ძიებანი ანტიკური ქუთაისისათვის“, წმინდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრანტის თორნიკე დიასამიძის პრეზენტაცია შეეხებოდა საქართველოსა და ჩრდილოკავკასიის ურთიერთობას X-XII საუკუნეებში და სხვ.

კონფერენცია სათანადოდ იყო ორგანიზებული. სულ 2 პლენარული და 4 სექციური სხდომა გაიმართა, მუშობის ნაყოფიერად წარმართვას დიდად შეუწყო ხელი მოხსენებათა თეზისების დაბეჭდვამ და დაინტერესებულ პირთა შორის გავრცელებამ.

კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და დღევანდელობის ამსახველი ილუსტრირებული, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნები, აგრეთვე, კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

კონფერენციის მუშაობის შეჯამების შემდგომ მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ახალგაზრდა მკვლევართა ინტერდისციპლინური კონფერენციები ქართველოლოგიის დარგში ყოველწლიურად გაიმართოს.

კონფერენციის მნიშვნელობაზე პლენარულ სხდომებზე ისაუბრეს თსუ-ის რექტორის მოადგილემ ავთანდილ ჩუთლაშვილიმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა თეა ტეტელაშვილმა, თსუ-ის პროფესორმა გიული ალასანიამ, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა გიორგი ღვედაშვილმა, აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა სულხან კუპრაშვილმა; ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის პროფესორმა რუსუდან საღინიძემ, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა მადონა ქებაძემ, თსუ-ის პროფესორებმა ელგუჯა ხინთიბიძემ და გიორგი ოთხმეზურმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაცო განყოფილების უფროსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გონელი არახამიამ, რომელმაც წაიკითხა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე პრეზიდენტის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მისასალმებელი წერილი.

კონფერენციაზე მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ (რედაქტორები გ. ალასანია და მ. ჩხარტიშვილი) მე-12, მე-13 და მე-14 ნომრებს. წარმოდგენილი იქნა აგრეთვე ახლად დაფუძნებული ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ძირითადი სამუშაო მიმართულებების და მისიის შესახებ ინფორმაცია და საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მიერ გასულ წელს ტაო-კლარჯეთში ჩატარებული სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში.

კონფერენცია კულტურული პროგრამით დასრულდა. მონაწილეები დაესწრნენ გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსაბლის „თსუ გორდელას“ კონცერტს კონცერტის შემდგომ კი მოეწყო ექსკურსია „თბილისი ღამით“.

საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პირველი ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმი

ქართულ ანდაზას, „თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგად ხარ“, ძირითადად, ერთმანეთთან ახლოს მცხოვრებ ადამიანებზე ამბობენ, თუმცა ეს ხალხური სიბრძნე შეიძლება უფრო ფართო მნიშვნელობითაც განვიხილოთ, მაგალითად, მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომელთაც, ისტორიისა და კულტურის თვალსაზრისით, მრავალი რამ აკავშირებთ, პოლიტიკისა და ეკონომიკის კუთხით კი არაერთი საერთო ინტერესი აქვთ. შესაბამისად, მეზობელი ქვეყნების განვითარება და კეთილდღეობა მათ ურთიერთთანამშრომლობასა და ერთობლივ ძალისხმევაზე ბევრად არის დამოკიდებული.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კავკასიის ქვეყნებს — საქართველოს, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის უკვე განხორციელდა მსხვილი ეკონომიკური, ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტები. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით სამეცნიერო სფეროს შესახებ. სამი ქვეყნის პირველი ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“ 18 აპრილს გაიმართა. სიმპოზიუმი თსუ-ში ჩატარდა და მისი მიზანი კავკასიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება, ერთობლივი სამეცნიერო-სასწავლო პროექტების საფუძვლების მომზადება და კავკასიის, როგორც ერთიანი კულტურულ-ცივილიზებული სივრცის სამეცნიერო მიდგომის განსაზღვრა გახლდათ.

ნატო ოგოლაძე

„კავკასიოლოგიის, როგორც კომპლექსური დარგის სპეციფიკა განაპირობებს კავკასიის ხალხთა ფოლკლორის, მატერიალური კულტურის, ისტორიის ეთნოლინგვისტიკისა და არეალური ლინგვისტიკის მნიშვნელოვან საკითხთა ურთიერთმიმართებებს. კავკასიოლოგიასა და თურქოლოგიას, ამავე სპეციფიკიდან გამომდინარე, აქვს რიგი საერთო პრობლემატიკა, რაც განპირობებულია იმით, რომ თურქულენოვანი ეთნოსები კავკასიაში ვრცელ ეთნოლინგვისტურ არეალს მოიცავს. იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებისა და თურქულენოვანი ხალხების საუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი ლინგვოკულტურული სივრცე. განსხვავებული კულტურების შეხვედრის სუბსტრატული, სუპერსტრატული და ადსტრატული ლინგვოკულტურული მოვლენები კავკასიოლოგთა და თურქოლოგთა ერთობლივი შესწავლის საგანი იყო XX საუკუნეში და ამჟამადაც ვაგრძელებთ ამ ტრადიციას.

კავკასიელი ხალხების ისტორიული და ლინგვოკულტურული კონტაქტები ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში არაერთგვაროვანი იყო. თუ XIX-XX საუკუნეებში კავკასიური ერთობის პოლიტიკურად და ეკონომიკურად ჩამოუყალიბებელ ურთიერთდამოკიდებულებას საფუძვლად ედო რუსეთთან დაპირისპირების ემოციური განწყობაც. დღეს კავკასიური ერთიანი კულტურული და ეკონომიკური სივრცის შექმნა თანამედროვეობის, კერძოდ, გლობალიზაციის თანმდევი პროცესის — რეგიონალიზაციის პრინციპითაა ნაკარნახევი. ეს სიმპოზიუმი მოპოვებული მიღწევებისა და თანამედროვე კვლევების კვალდაკვალ გააერთიანებს კავკასიოლოგიისა და თურქოლოგიის პრობლემათა შემსწავლელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებს და, შესაბამისად, განსაზღვრავს კავკასიელი ხალხების სოციოკულტურული ერთობის როლსა და ადგილს მსოფლიო კულტურათა დიალოგის კონტექსტში“, — განაცხადა თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ.

საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „კავკასიის ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“ 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მუშაობდა 4 თემატური სექცია: ფოლკლორი და ლიტერატურა, ენათმეცნიერება, ისტორია და არქეოლოგია, ეთნოლოგია. მოხსენებები საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ, რომლებიც არა ერთ აქტუალურ საკითხს მიეძღვნა. მათ შორის იყო მ. თურანის „ახლო აღმოსავლეთის — შავიზღვისპირეთის კავკასიის აბრეშუმის გზის სარკინიგზო პროექტი“; ლ. ჩლაიძის — „კავკასიური ერთობა და ფოლკლორი“; ე. ბესოლოვას — „ეპიკურ ტექსტში მითოლოგიური აზროვნების შესახებ“; მ .ი. მაგომედოვის — „ფოლკლორული მემკვიდრეობა დაღესტანელი ხალხების სიმდიდრე“; ტ. სიხარულიძისა და ე. ბჟალავას — „თურქეთში ქართული ენის სწავლებისათვის“; ე. დადიანის — „თურქული კალკირებული შესიტყვებანი იმერხეულ დიალექტში“; ი. ბაბაევის — „ახალი არქეოლოგიური გათხრები კავკასიის ალბანეთის დედაქალაქ გაბალას ნაქალაქარში“; მ. კუპრავას — „კოლხური კულტურის ადრეული განძები ჩრდილოდასავლეთის კოლხეთიდან“; ვ. რზაევის — „განათლების რეფორმის სისტემა კავკასიაში და განმანათლებლური მოძრაობა“; ნ. აბესაძის — „ერთი სოციალური-კულტურული ასპექტი აფხაზურ და ქართულ ეტიკეტში“; გ. გოცირიძის — „ახალი წლის დღესასწაული „ნოვრუზ ბაიარამი“ საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში“; ე. ასლანოვას — „აზერბაიჯანული ნასესხობანი ქართული ენის ინგილოურ დიალექტში“; ც. ბარამიძის — „კავკასიოლოგია და თურქოლოგია არეალური ლინგვისტიკის რაკურსში“; შ. დურმაზის — „უნივერსიტეტი და ბიზნესის სამყარო აზერბაიჯანში კავკასიის უნივერსიტეტის მაგალითზე“ და სხვა.

„სიმპოზიუმზე ძალიან საინტერესო მოხსენებები მოვისმინეთ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ფოლკლორისტები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები, ისტორიკოსები. ჩემი მოხსენების თემა გახლდათ „მჭედლობის კულტი თაბასარანელებსა და აფხაზებში: მითოლოგიური პარალელები“. ნაშრომში საუბარია პირველ მჭედლებზე და მჭედლობის მფარველ ღმერთებზე. საინტერესო და გასაკვირია, რომ თაბასარანელები დაღესტანში ცხოვრობენ, ხოლო აფხაზები დასავლეთ კავკასიაში და მიუხედავად ამისა, მათ მითოლოგიური სიუჟეტი საერთო აქვთ. ეს კავკასიელი ხალხების საერთო მატერიალურ და სულიერ კულტურაზე მეტყველებს“, — აღნიშნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის სამეცნიერო ცენტრის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა რუსლან სეფერბეკოვმა.

საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმს მხოლოდ სამეცნიერო დატვირთვა არ ჰქონია. ღონისძიებაზე მხარეებმა რეგიონის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებისა და სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესში აქტიური ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობაზეც ისაუბრეს.

„სამხრეთ კავკასიას — როგორც ერთიან სივრცეს, აქვს გადაუჭრელი პრობლემები — კონფლიქტები აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და მთიან ყარაბაღში. ეს აფერხებს როგორც თითოეული ქვეყნის, ისე მთლიანი რეგიონის განვითარებას. თუ ჩვენი, როგორც მონაწილე მხარეების, სტრატეგიული ხედვა ჩამოყალიბდება იმგვარად, რომ ჩვენივე არსებობა ცალ-ცალკე შეუძლებელია, თუ ჩვენ გავთვლით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კავკასია ერთიან რეგიონად აღიქმება და ინტერესი კავკასიისადმი მზარდია, ასევე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლო აღმოსავლეთის „ცხელი წერტილები“ ახლოა, მაშინ ჩვენი ქვეყნების ურთიერთკავშირი არ შეიძლება სწორხაზოვნად განვიხილოთ. თვალი უნდა გავუსწოროთ მომავალს, უნდა გადავსინჯოთ ურთიერთობები რეგიონის იმ ერთეულთან, რომელიც არღვევს ერთიან სტრატეგიულ ჯაჭვს. გადავდგათ მეგობრული ნაბიჯები, უარი ვთქვათ წარსულის სწორხაზოვან განწყობაზე. მივუდგეთ იმგვარად, რომ მარადიული მტრობა არ არსებობს. მაგალითად, ევროპული სივრცე მოვიშველიოთ. არსებობს კავკასიელი ხალხების საერთო ინტერესები, რომლებიც ერთიან სტრატეგიულ ხედვასა და სივრცეს, ერთიან ჯაჭვს აყალიბებს, სხვა შემთხვევაში ჩვენი მომავალი რისკის ფაქტორების შემცველია“, — განაცხადა პროფესორმა ცირა ბარამიძემ.

„კავკასია უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის რეგიონია. შემთხვევითი არ არის, რომ უძველესი ადამიანის ნაშთებიც კავკასიაში, კერძოდ, დმანისში აღმოაჩინეს. კავკასიელები ყოველთვის მეგობრულად ცხოვრობდნენ და ძალიან სამწუხაროა, რომ ახლა კონფლიქტის ზონები არსებობს. ვფიქრობ, კავკასიელი ხალხების ინტელიგენცია რეგიონში სიმშვიდის დასამყარებლად უნდა მიისწრაფოდეს“, — აღნიშნა აზერბაიჯანის სამეცნიერო აკადემიის წევრმა ილიას ბაბაევმა.

საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“ აზერბაიჯანელ მეცნიერს, პოეტსა და მთარგმნელს ვალეჰ ჰაჯილარს მიეძღვნა, რომლის სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობა, ძირითადად, საქართველოსთან არის დაკავშირებული. მის მოღვაწეობას აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხებს შორის გადებულ ხიდსაც უწოდებენ. ვალეჰ ჰაჯილარმა აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ქართული, რუსული, უკრაინული და აფხაზური ხალხური და კლასიკური ნაწარმოებები. იგი გახლავთ პირველი აზერბაიჯანულ-ქართული ორმხრივი სალაპარაკო ლექსიკონის ავტორიც. ვალეჰ ჰაჯილარი 1989 წლის მაისიდან სიცოცხლის ბოლომდე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის (ილიას უნივერსიტეტი) აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ მუშაობდა. მეცნიერი 2010 წელს გარდაიცვალა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ცირა ბარამიძე, თურქეთის არტაანის უნივერსიტეტის რექტორი რ. ქორქმაზი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე, ვალეჰ ჰაჯილარის საერთაშორისო სამეცნიერო კულტურული კვლევების ფონდის პრეზიდენტი ჯ. ალილმაზი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის სამეცნიერო ცენტრის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი მ. მუსაევი, მოლდოვას ბელცის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გ. პოპა, „თურქული სამყაროს არქიტექტორთა და ინჟინერთა კავშირის“ თავმჯდომარე ი. დემირჯი, იასის რუმინული ფილოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ე. მუნტეანუ, თურქმენეთის ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი მ. სოგოევი, თეირანის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ჰ. ქაზემზადეჰი, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის კათედრის გამგე ჟ. სიზდიკოვა, ანკარის უნივერსიტეტის პროფესორი ო. თურანი და თურქული კულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანია დ. კასეინოვი.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

თსუ-ის პირველ კორპუსში შოთა რუსთაველისა და მარო მაყაშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზები გაიხსნა. დარბაზები თანამედროვე ლიტერატურითა და ტექნიკით არის აღჭურვილი. აქვს კომპიუტერული ცენტრიც. დანერგილია თანამედროვე საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმები — მკითხველს სასურველი წიგნის მოძებნა, როგორც ელექტრონული საძიებლის მეშვეობით, ასევე, კვალიფიციური ბიბლიოთეკარის დახმარებით შეუძლია. თსუ-ის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში დაახლოებით 120 000 გამოცემაა, თუმცა წიგნების გამოწერა შეიძლება მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ბიბლიოთეკის საცავებიდანაც, სადაც მილიონობით წიგნი ინახება. მოქმედებს ასევე წიგნების ონ-ლაინ დაჯავშნის მეთოდიც. პირველად საქართველოში, მკითხველებს თსუ-ის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში ასლის დამზადების თვითმომსახურების რეჟიმით სარგებლობა შეუძლიათ.

შოთა რუსთაველისა და მარო მაყაშვილის სამკითხველო დარბაზები სიმბოლურად 23 აპრილს, ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს, წიგნის საერთაშორისო დღესა და საბიბლიოთეკო კვირეულის დაწყების დღეს გაიხსნა. სიმბოლურია ისიც, რომ წელს მსოფლიო ზეიმობს ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ 300 წლისთავს. აღსანიშნავია, რომ 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ 20 ეგზემპლარია გადარჩენილი და აქედან ორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინახება. სწორედ, აქედან გამომდინარე, პირველი კორპუსის დიდ სამკითხველო დარბაზს შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა.

თსუ-ის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკის გახსნას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი, აკადემიური წრეებისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„თსუ-ის პირველი კორპუსის რეაბილიტაცია 2008 წელს დაიწყო და შედეგად არაჩვეულებრივი გარემო შეიქმნა. დღეს გავხსენით თანამედროვე ევროპული დონის უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია კომპიუტერული ცენტრითაც. სასიხარულოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უმაღლესი განათლების მიღება ასეთ გარემოში შეუძლიათ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„სიმბოლურია, რომ ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს თსუ-ში თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა ამოქმედდა. საქართველოს გარდა არცერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მსგავსი ტიპის ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებს. აქ სტუდენტს ცოდნის გაღრმავებისათვის საჭირო ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი. ყველა უნივერსიტეტელს ვუღოცავ ამ დღეს“, — აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ.

ახალი სამკითხველო დარბაზების გახსნის ცერემონიაზე თსუ-სთან თანამშრომლობის სურვილი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ გამოთქვა. მან ახალი ინიციატივაც წამოაყენა, რის მიხედვითაც ე.წ. საჯარო ბიბლიოთეკაში თსუ-ის მუდმივმოქმედი სივრცე დაეთმობა, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მომხდარი სიახლე აისახება და საცნობარო ტიპის ლიტერატურაც განთავსდება. პირველი კორპუსის ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ გიორგი კეკელიძეს თსუ-ში ხელახლა ჩაბარების სურვილიც კი გაუჩნდა.

„როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორისთვის, მნიშვნელოვანია, ვითანამშრომლო ისეთ ბიბლიოთეკასთან, რომელიც თანამედროვე გზით ვითარდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან დღეს ბევრს საუბრობენ ზოგადად წიგნის მომავალზე. ვფიქრობ, რომ ასეთი კომბინირებული სივრცეები, სადაც კომპიუტერული ცენტრი და სამკითხველო დარბაზები ერთად არის განთავსებული, ხელს შეუწყობს ბეჭდური წიგნის შენარჩუნებასა და ამავე დროს ელექტრონული რესურსების განვითარებასაც“, — განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

თსუ-ის ბიბლიოთეკა საქართველოში სიდიდით მეორეა. იგი 1918 წელს უნივერსიტეტის გახსნისთანავე დაარსდა. მას საფუძვლად ქართველი პუბლიცისტის, კიტა აბაშიძის წიგნების პირადი კოლექცია დაედო. შემდეგ დავით სარაჯიშვილის, სვიმონ და საბა კლდიაშვილების, პეტრე მელიქიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას, ვასილ პეტრიაშვილის და სხვათა კოლექციებიც შეემატა. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. შოთა რუსთაველისა და მარო მაყაშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზების გახსნის ცერემონიაზე თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა ბაბუის, აკადემიკოს შოთა მესხიას ბიბლიოთეკაც. ამავე დღეს თსუ-ის წიგნად ფონდს აკადემიკოს ანდრია აფაქიძის კოლექციაც შეემატა, რომელიც აკადემიკოსის მშობლიურ უნივერსიტეტს მისმა შვილიშვილმა, ცნობილმა პიანისტმა დუდანა მაზმანიშვილმა უსახსოვრა.

ᲘᲞᲝᲕᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

დღეს საზოგადოებაში ბიბლიოთეკების როლის შესახებ ბევრს საუბრობენ. ეს საკითხი არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით არის აქტუალური. ხორციელდება არაერთი პროექტი, რომელიც მიზნად მოსახლეობაში ბიბლიოთეკების პოპულარიზაციას ისახავს. მკითხველების მოთხოვნილებების შესასწავლად და მომსახურების შესაბამისი სტანდარტების დასანერგად მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება. ამ პროცესში საქართველოც აქტიურად არის ჩართული. აქ ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია ამერიკელი და ევროპელი ხალხების გამოცდილების გაზიარების საფუძველზე მიმდინარეობს. წელს ბიბლიოთეკების კვირეულის ფარგლებში თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საინფორმაციო რესურსების რეგიონალური კურატორი ბალკანეთსა და კავკასიაში ალკა ბჰატნაგარი ეწვია, რომელმაც მოხსენება „ბიბლიოთეკების ახალი როლი — საზოგადოებრივი ცენტრები“ წაიკითხა. ღონისძიებას თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ქართველი ბიბლიოთეკარები ესწრებოდნენ.

„ბიბლიოთეკის როლის შესახებ ამერიკაში საუბარი ბოლო 5 წელია მიმდინარეობს. ეს სიტუაცია მაგონებს 1990-იან წლებს, როდესაც კომპიუტერი აქტიურად შემოვიდა ხმარებაში და საზოგადოების ნაწილს მიაჩნდა, რომ ქაღალდი საერთოდ აღარ იქნებოდა საჭირო. როგორც ხედავთ, ეს ასე არ მოხდა. ბეჭდური წიგნი თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს, თუმცა ახლა მოთხოვნადია წიგნების ელექტრონული ვერსიებიც და სწორედ ეს არის ბიბლიოთეკების ახალი გამოწვევა“, — აღნიშნა ალკა ბჰატნაგარმა.

წლევანდელი კვირეული ელექტრონული და საბავშვო ბიბლიოთეკების თემებს მიეძღვნა. შესაბამისად, თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე ძირითადად ეს საკითხები განიხილეს. დაახლოებით ორი კვირის წინ ბიბლიოთეკის დირექტორი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს საბავშვო ლიტერატურის ფონდის ხელმძღვანელი ირმა მალაციძე სტოკჰოლმში ადგილობრივი ბიბლიოთეკების მუშაობის მეთოდის შესასწავლად იმყოფებოდნენ. მათ სპეციალური 3-წლიანი პროექტიც შეიმუშავეს, რომლის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბიბლიოთეკები ჩამოყალიბდება. შვედეთის საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა პრეზენტაცია წარმოადგინა.

„თუ ეს პროექტი დაფინანსდება, საზოგადოებას ძალიან კარგ სიახლეებს შევთავაზებთ. პროექტით დაინტერესებულია შვედური მხარე, საქართველოს საბავშვო ლიტერატურის ფონდი, თბილისის მერია, დახმარებისთვის მზადყოფნას გამოხატავს კულტურის სამინისტროც. შვედეთის ბიბლიოთეკები მკითხველებს მომსახურების კარგ სერვისებს სთავაზობენ. მე არ ვსაუბრობ იმაზე, თუ როგორი რემონტი აქვთ გაკეთებული ან რამდენი წიგნი დევს თაროზე. საყურადღებოა ბიბლიოთეკისა და საზოგადოების დამოკიდებულება. ისინი ერთმანეთთან ძალიან კარგად თანამშრომლობენ. არის ბიბლიოთეკები, სადაც დიდებისა და ბავშვების სექციებია გამოყოფილი. მათი დაკვირვებით, არსებობს 10-დან 13 წლამდე მოზარდების კატეგორია, რომლებსაც ცალკე ყოფნა ურჩევნიათ, ამიტომ მათ ნაწილში უფროსებისთვის შესვლაც კი აკრძალულია“, — გვითხრა თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბიბლიოთეკა საქართველოში უკვე არსებობს. თსუ-ის მეცნიერებათა ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე თბილისის „ახალი სკოლის“ ბიბლიოთეკარებმა ვიდეორგოლი აჩვენეს, რომელშიც სკოლის განახლებულ ბიბლიოთეკაში შექმნილი გარემო იყო წარმოდგენილი.

თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საბავშვო და ელექტრონული ბიბლიოთეკების საკითხებზე 26 აპრილს იმსჯელეს. ღონისძიების პარალელურად მხატვარ გიზო ვაშაკიძის ფერწერის გამოფენაც მოეწყო. წარმოდგენილი იყო ასევე ხელნაკეთი ჩანთები და თექის ნამუშევრები.

წელს ბიბლიოთეკების კვირეული საქართველოში 23-დან 30 აპრილის ჩათვლით გაგრძელდა და მისი დევიზი გახლდათ „იპოვე შენი მომავალი ბიბლიოთეკაში“.

ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ „ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲗ” ᲘᲬᲧᲔᲑᲐ...

28 აპრილს თსუ-ში პროექტ „საბავშვო უნივერსიტეტის” ფარგლებში გაიმართა ფილოსოფიის მიმართულების პრეზენტაცია. ამავე მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტმა ლაშა მათიაშვილმა მოსწავლეებს მიმართულების სპეციფიკა გააცნო და ისაუბრა თემაზე — „რელიგია და სიყვარული ფილოსოფოსთა ნააზრევში“, რომელშიც იგი შეეხო როგორც ბერძენ ფილოსოფოსებს, ისე მერაბ მამარდაშვილისა და გივი მარგველაშვილის ნააზრევს.

შეხვედრის ბოლოს ლაშა მათიაშვილმა აღნიშნა: „გული მწყდება, სკოლებში ფილოსოფიის ელემენტარული კურსი რომ არ ისწავლება. ვეცადე, მარტივად მიმეწოდებინა სათქმელი და ფილოსოფიაზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა მოსწავლეებისთვის. მოსწავლეები ჩაერთნენ დისკუსიაში და შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა“.

„ძალიან მომეწონა შეხვედრა, რადგან ყველაფერი მარტივი ენით იყო გადმოცემული. ფილოსოფია მაინტერესებს, ვეცნობი სხვადასხვა ფილოსოფოსის ნააზრევს. ლაშას კითხვები დავუსვი და გასაგებად მიპასუხა“, — გვითხრა მე-10 კლასის მოსწავლემ ნინო ფაილოძემ.

ლაშა მათიაშვილი

„საბავშვო უნივერსიტეტი” თსუ-ის ერთერთი წარმატებული პროექტია, რომლის ორგანიზატორები არიან რექტორის მრჩეველი მარინა ლომოური და პოლიტიკური მიმართულების სტუდენტები ქეთევან მურუსიძე და გიორგი გრიგოლაშვილი. ისინი იწვევენ თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტისა და მიმართულების სტუდენტებს, რომლებიც აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ სპეციალობას, სწავლების სპეციფიკას.

ეს პროექტი მოსწავლეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაციას ემსახურება.

ახალგაზრდების დაინტერესება „საბავშვო უნივერსიტეტით” იწყება...

თამარ შამათავა

უნივერსიტეტში

მოსწავლეთა ვიქტორინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

„ვიქტორინა – 2012“-ის შესარჩევი ტურის II ეტაპი დასრულდა. თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ მოსწავლეებისთვის ორგანიზებული ინტელექტუალური შეჯიბრის ნახევარფინალში კიდევ 16 გუნდი გადავიდა. გორის №3-ე, თბილისის №183-ე, №87, №24-ე, №98-ე, №14-ე, №161-ე, №128-ე, ჭიათურის №1, პატარძეულის, იყალთოს, თელეთის საჯარო სკოლებისა და კერძო სკოლების — „ფარნავაზის“, „კანდიდის“, „ლაშარის“, „ჯი-ელ-სი“-ს გუნდები ერთმანეთს ოქტომბერში, „ვიქტორინა — 2012“-ის მომდევნო ეტაპზე შეხვდებიან. შესარჩევი ტურის II ეტაპზე დასმულ კითხვებს ყველაზე მეტი სწორი პასუხი კერძო სკოლა „ჯი-ელ-სი“-ს გუნდმა გასცა, რის გამოც მონაწილეებს სპეციალურად თსუ-ის სტუდენტის მიერ ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული სერტიფიკატი გადაეცათ. „ვიქტორინა-2012“-ის ნახევარფინალში სულ 27 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. აქედან 11 სკოლის გუნდი თებერვლში ინტელექტუალური შეჯიბრის შესარჩევი ტურის პირველი ეტაპის ჩატარების შედეგად შეირჩა.

ნატო ობოლაძე

„ჩვენი გუნდი განწყობილი იყო გამარჯვებისთვის. წინასწარ ვიცოდით ამ ღონისძიების შესახებ და საფუძვლიანად მოვემზადეთ. ვეცადეთ საუკეთესო შედეგები გვქონოდა და მიხარია, რომ მიზანს მივაღწიეთ“, — გვითხრა კერძო სკოლა „ჯი-ელ-სი“-ს გუნდის კაპიტანმა დაჩი გოგიჩაიშვილმა.

„ვიქტორინა — 2012“-ში თბილისისა და საქართველოს რეგიონების 36 საჯარო და კერძო სკოლა მონაწილეობდა. თითოეულ სკოლას თითო გუნდის წარმოდგენის უფლება ჰქონდა. გუნდში X-XII კლასების 6 მოსწავლე შედიოდა. ვიქტორინის მონაწილეებმა ქიმიიდან, ბიოლოგიიდან, ფიზიკიდან, მათემატიკიდან და გეოგრაფიიდან დასმულ კითხვებს გასცეს პასუხები. კითხვები თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურამ მოამზადა. ინტელექტუალური შეჯიბრის ნახევარფინალურ და ფინალურ ეტაპზე კი მოსწავლეებს უფრო რთულ კითხვებზე მოუწევთ პასუხების გაცემა.

„ვიქტორინის შედეგებით კმაყოფილები ვართ. თავიდან ბავშვები ცოტა შებოჭილები იყვნენ, მაგრამ დაძაბულობა მალევე მოეხსნათ. საერთო ჯამში, ნახევარფინალში, რომელიც ოქტომბერში ჩატარდება, 27 გუნდი გადავიდა, „ვიქტორინა — 2012“-ის ფინალური ეტაპი კი დეკემბერში გაიმართება“, — განაცხადა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ბოჭორიშვილმა.

„ვიქტორინა — 2012“-ის შესარჩევი ტურის II ეტაპი 28 აპრილს გაიმართა. ღონისძიების დასასრულ, სპეციალურად მოსწავლეებისთვის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებმა პატარა კონცერტიც გამართეს. მათ მსოფლიო ჰიტები და ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს.

მოსწავლეთა ინტელექტუალური შეჯიბრი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ მხარდაჭერით ხორციელდება.

„ჯი-ელ-სი“-ს გუნდი

საიას თავმჯდომარე სადისკუსიო კლუბში

28 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადისკუსიო კლუბის შეხვედრა გაიმართა, სადაც მოწვეულმა სტუმარმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას) თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა ისაუბრა საქართველოში არსებულ კანონმდებლობასა და საარჩევნო გარემოზე.

სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა. კითხვაზე, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს საარჩევნო გარემოს მოსაწესრიგებლად, საიას თავმჯდომარემ ერთერთ კომპონენტად კანონმდებლობა დაასახელა.

„ეს პროცესი რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. პირველი კანონმდებლობაა. მიუხედავად იმისა, რომ დეკემბერში მივიღეთ ახალი საარჩევნო კოდექსი, ის მოიცავს ბევრ ხარვეზიან კომპონენტს. მეორეა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და საარჩევნო კამპანიის რეგულაციები. თანასწორი და სამართლიანი საარჩევნო გარემოსთვის საჭიროა კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები, რაც პარლამენტის პრეროგატივაა. ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება და პარტიების დაფინანსების პროცესი შერჩევით არ უნდა ხდებოდეს. პარტიების დაფინანსების თანასწორ პროცესს კონტროლის პალატა უნდა ადევნებდეს თვალს. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ მმართველი გუნდი და ოპოზიცია მოიქცნენ კანონის შესაბამისად. დიდია მედიის როლიც, რომელიც საარჩევნო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს“, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სადისკუსიო კლუბი შეიქმნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის ამირან ბერძენიშვილისა და სტუდენტების ინიციატივით. კლუბის მიზანია, სხვადასხვა განსახილველ საკითხზე თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება და მოქალაქეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება.

ნინო ბერელიძე

უნივერსიტეტი სამეცნიერო კონკურსებში კვლავ ლიდერია

პირველი გვერდიდან

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 4 პროექტით, მესამე პოზიცია უჭირავს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, ხოლო მეოთხე — სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრს, 2 პროექტით).

კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლებია გამოყენებითი კვლევების კონკურსში — სულ დაფინანსდა 25 პროექტი, აქედან 9 პროექტი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რაც მთლიანი მაჩვენებლის 36 პროცენტია (მეორე ადგილზეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 5 პროექტით, მესამე პოზიციაზეა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 2 პროექტით).

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით სულ 10 პროექტი დაფინანსდა, აქედან 4 პროექტი თსუ-ის მეცნიერებს ეკუთვნით, სხვა ინსტიტუტებზე კი, ფაქტობრივად, თითო-თითო პროექტი მოდის.

უნივერსიტეტი ასევე მნიშვნელოვნად უსწრებს კონკურენტებს სხვადასხვა სამეცნიერო კონკურსის შედეგების მიხედვით: ქართველ და იტალიელ მეცნიერთა თანამშრომლობის ხელშემწყობი კონკურსი (11 განაცხადიდან გაიმარჯვა 5-მა პროექტმა, მათ შორის 4-მა თსუ-დან); შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო გრანტების კონკურსი (სულ გაიმარჯვა 3-მა პროექტმა, მათ შორის 2-მა თსუ-დან); საკონფერენციო გრანტების კონკურსი (სულ წარდგენილი იყო 68 განაცხადი, გაიმარჯვა 9 პროექტმა, მათ შორის თსუ-დან 2-მა) და სხვა.

„ჩვენ ყველა შეხვედრაზე ვადასტურებთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტი და მას ყოველთვის გააჩნდა ჯანსაღი ამბიცია — იყოს პირველი არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონში, რასაც, ბუნებრივია, უნდა ახლდეს დამადასტურებელი მასალები, რაც ამ ამბიციებს გაამყარებს.

ცოტა ხნის წინ გვქონდა შეხვედრა ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ ჩვენს მეცნიერებთან და უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო კონკურსებში, ვგულისხმობ ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დიდ საგრანტო კონკურსებს — ფუნდამენტური კვლევების კონკურსი, გამოყენებითი კვლევების კონკურსი და ასევე უცხოელ თანამემამულეებთან ერთად გამოცხადებული კონკურსები, უნივერსიტეტმა საკმაოდ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია. ამავდროულად, კიდევ ერთი კარგი ინდიკატორი, რაც მიუთითებს ჩვენს მაღალ სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევებზე, არის გამოქვეყნებული სტატიების რიცხვი მაღალრეიტინგულ/იმპაქტ-ფაქტორიან სამეცნიერო ჟურნალებში. 2011 წლის მონაცემებით ამ მაჩვენებლითაც საკმაოდ კარგ მდგომარეობაში ვართ“, - აღნიშნა გიორგი ღვედაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო კვლევებისთვის გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნავს. ეს კიდევ ერთი წინაპირობაა მომავალი წარმატებებისთვის.

მომავალი ჟურნალისტები საზოგადოებრივ არხზე ოსტატდებიან

ჟურნალისტიკა არის პროფესიაა, სადაც ძნელი გასავლებია ზღვარი თეორიასა და პრაქტიკულ გამოცდილებას შორის. ჟურნალისტური თეორიის კარგად ცოდნა არაფერს ნიშნავს პრაქტიკული გამოცდილების — პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობის გარეშე. ამ პრინციპის დაცვის აუცილებლობა კარგად ესმით თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ადმინისტრაციას და პროფესორ-მასწავლებლებს. 2012 წლის დასაწყისში უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების დამამთავრებელი კურსის 20-მდე წარმატებული სტუდენტი სხვადასხვა სატელევიზიო პროგრამასა და გადაცემაში გაივლის პროფესიულ სტაჟირებას, რაც სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვასთან ერთად, მათ პროფესიულ დაოსტატებასაც შეუწყობს ხელს. მომავალი ჟურნალისტებისთვის აუცილებელია, საკუთარი თვალით ნახონ სატელევიზიო თუ საგაზეთო მუშაობის სპეციფიკა.

თამარ დადიანი

„აღნიშნული მემორანდუმი და სტაჟირების კრედიტ-კურსი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შრომის ბაზართან აქტიური თანამშრომლობა, სასწავლო პროცესში პრაქტიკის თანმიმდევრული ინტეგრირება და ადმინისტრირება. სტუდენტები ჩართულნი არიან თოქშოუების და საინფორმაციო გამოშვების (საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხზე) მომზადებაში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტუდენტებისთვის სტაჟირება უფასოა. პირველ არხთან ჩვენი თანამშრომლობა მხოლოდ სტაჟირების პროგრამით არ შემოიფარგლება. ამ დღეებში ტელევიზია გადმოგვცემს სტუდიის ინვენტარს, სადაც შესაძლებელი იქნება თოქშოუების იმიტაცია. პირველი არხის ჟურნალისტები სტუდენტებთან ატარებენ მასტერკლასებს, ესწრებიან ლექციებს. ბევრი მათგანი ჩვენი მიმართულების პროფესორია.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი სტუდენტები აქამდეც გადიოდნენ პრაქტიკებს სხვადასხვა მედიასაშუალებებში, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ეს პრაქტიკა სასწავლო პროცესთან არის ინტეგრირებული. ტელე-სტაჟირების კრედიტ-კურსის კოორდინატორია თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი ხათუნა კაჭარავა, რომელიც ყოველ კვირას ხვდება სტაჟიორებს. სტაჟირების ყველა ნიუანსი გაწერილია სილაბუსში და სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ, სტუდენტი იღებს 5 კრედიტს.

სტაჟირების კრედიტ-კურსის დანერგვისას გავიზიარეთ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის გამოცდილება და პირობები ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით შევიმუშავეთ. ჩვენი მიზანია, გავაუმჯობესოთ სწავლების ხარისხი, რომ ის უფრო ორიენტირებული გახდეს სტუდენტზე“, — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარიამ გერსამიამ.

სტუდენტების სტაჟირება საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებში ერთ თვეს გრძელდება. სტაჟირება ხორციელდება მხოლოდ დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისთვის, ვისაც მოგროვებული აქვს არანაკლებ 180 კრედიტისა — კრედიტ-კურსის გასავლელად სტუდენტს სასწავლო კურსში „სამაუწყებლო მედია (ტელე)“ , შეფასება უნდა ჰქონდეს არანაკლებ 85 ქულისა.

„კურსი პრაქტიკულ სწავლებაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს, სტაჟირების პერიოდში მომავალი ჟურნალისტები ჩაებან რეალურ ჟურნალისტურ საქმიანობაში, შეისწავლონ თანამედროვე ტელეჟურნალისტის პრაქტიკული საქმიანობის პროცესი, შეძლონ ნიუსრუმში გუნდური მუშაობა, პროფესიული სირთულის ამოცანების გადაწყვეტა, ტელეგადაცემების მომზადება და ჟურნალისტისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სტაჟირების პროცესში მიცემული დავალებები შეესაბამება გავლილ თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს. მნიშვნელოვანია სტუდენტმა გამოიჩინოს ინიციატივა, შეძლოს საკუთარი სამუშაოს ორგანიზება, შეეჩვიოს გუნდურ მუშაობას, რადგან ის საჭიროა მომავალი ჟურნალისტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწისათვის“, — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორმა, ხათუნა კაჭარავამ.

სტაჟირების პირველი ეტაპი სასწავლო-გაცნობით ხასიათს ატარებს, პრაქტიკოსი ჟურნალისტების ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ნიუსრუმის, ტელერედაქციების მუშაობის პრინციპებს. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ კი სტუდენტი წარადგენს ანგარიშს სტაჟირებისას მიღებული გამოცდილების შესახებ.

სტაჟირების მეორე ეტაპზე სტუდენტები მიიღებენ კონკრეტულ დავალებებს და შეეცდებიან მათ შესრულებას. მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ ისინი კურსის ხელმძღვანელს სტაჟირების მოკლე მიმოხილვას წარუდგენენ.

სტუდენტის ანგარიშის ფორმები დეტალურადაა გაწერილი და ფოკუსირებულია იმაზე, რომ სტუდენტმა ეფექტურად დაგეგმოს სტაჟირების კურსი, რაშიც მას კოორდინატორიც ეხმარება.

სტაჟირების ბოლოს საბოლოო შეფასებას კურსის ხელმძღვანელი წერს. სტაჟირების კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს მუშაობას სხვადასხვა ტიპის გადაცემასა და სატელევიზიო პროგრამაში, შეძლებს ურთიერთობას განსხვავებული სფეროების სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, რესპონდენტებთან, საინფორმაციო წყაროებთან, კოლეგა-ჟურნალისტებთან.

სტუდენტების პირველ ნაკადთან შეხვედრა უკვე გაიმართა. მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარიამ გერსამიამ და კურსის ხელმძღვანელმა, ასისტენტ პროფესორმა ხათუნა კაჭარავამ მათგან ბევრი საინტერესო რამ მოისმინეს. 5-მა სტაჟიორმა პროფესორებსა და ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები და ის გამოცდილება, რომელიც სტაჟირების გავლისას მიიღეს ტელევიზიაში. ყველა ერთხმად აღიარებდა მათ მიმართ ტელეპროგრამების პროდიუსერების, რედაქტორების, ჟურნალისტების კეთილგანწყობას და თანამშრომლობის სურვილს, რის გამოც კმაყოფილები და მადლიერნი იყვნენ. ასეთი განწყობა აქამდე ნაკლებად იგრძნობოდა ტელესივრცეში მოხვედრისას, მაგრამ მემორანდუმის გაფორმების შემდეგ დამსაქმებლის დამოკიდებულება სტაჟიორის მიმართ საგრძნობლად შეიცვალა და ის უფრო საქმიანი, კეთილგანწყობილი და კოლეგიალური გახდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის როგორც მიმართულების ხელმძღვანელს, ასევე პროგრამების ავტორებსა და პროდიუსერებს: ეკა კვესიტაძეს, ვახო სანაიას, რუსუდან ვაშაკიძეს, დავით პაიჭაძეს, ნინო ქაჯაიას და სხვებს, ვინც სტაჟიორებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად უზიარებდა.

„ტელევიზიაში ნაბიჯის შედგმის შემდეგ სულ სხვა სამყაროში მოვხვდი, რომელიც სასწავლო გარემოსგან სრულებით განსხვავდებოდა. მართალია, სწავლების თეორიული კურსი გავლილი მქონდა და რაღაც უნარ-ჩვევებს ვფლობდი, მაგრამ რაც აქ პრაქტიკული ცოდნით შევიძინე, ნამდვილად მნიშვნელოვანი და აუცილებელია. მივხვდი იმას, რომ ტელეჟურნალისტიკა დაუღალავ შრომასა და დიდ ენერგიას მოითხოვს, აქ ხომ ოცდაოთხი საათის განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა“, — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა ზურა მახარაშვილმა.

ჟურნალისტური მუშაობის, პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის პრინციპებზე ისაუბრა სტაჟიორმა მარიამ ჭელიშვილმა და აღნიშნა, რომ საინტერესო იყო თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელება. „საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხზე მუშაობის დროს შევიტყვე საინფორმაციო გადაცემებზე მუშაობის პრინციპები და შევიძინე ჟურნალისტური პროფესიონალიზმისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები“.

დამსაქმებლის კეთილგანწყობასა და დამოკიდებულებაზე ისაუბრა სტაჟიორმა მაკა ლაშხიამ, რომელიც სასწავლო პრაქტიკას ნინო ქაჯაიას საავტორო გადაცემაში „ცხოვრება მშვენიერია“ გადიოდა: „ძალიან მომეწონა გადაცემის აგების პრინციპი, სტრუქტურა, სამუშაო გარემო და, რაც მთავარია, დამოკიდებულება ჩემ მიმართ, თანამშრომლობისა და გუნდურ მუშაობაში ჩართულობის სურვილი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი გადაცემის არაჩვეულებრივ კოლექტივს და ქალბატონ ნინოს“.

სასწავლო პრაქტიკის კურსი საკუთარი თავის უკეთესად შეცნობაში დაეხმარა სტაჟიორ სალომე აბულაძეს, რომელიც პრაქტიკას გადაცემა „დიალოგში“ გადიოდა. „ამ კურსის გავლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან გამოვამჟღავნე ის უნარები, რომლებიც, ვფიქრობდი, რომ არ მქონდა. არ მეგონა, რომ დამოუკიდებლად სიუჟეტის მომზადებას შევძლებდი, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა... შევიძინე ტექნიკური უნარები, რომლებიც მუშაობის დროს გამომადგება. ასევე მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობა გადაცემის წამყვანთან, პროდიუსერთან... ვფიქრობ, ასეთი გადაცემის მომზადების დროს უფრო აქტიური უნდა ვყოფილიყავი. დავრწმუნდი, რომ ჩემი ადგილი უფრო ნიუსრუმში იქნებოდა“.

სასწავლო პრაქტიკის გავლის მომავალ მსურველებს კარგი რჩევა-დარიგება მისცა სტაჟიორმა თამარ ნარინდოშვილმა: იყავით უფრო თამამები და ეცადეთ, საკუთარი თავი მაქსიმალურად წარმოაჩინოთ! „აქ მოხვედრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ პროფესია სწორად შევარჩიე,“ — აღნიშნა თამარმა და დიდი მადლობა გადაუხადა კურსის ხელმძღვანელებს.

„ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, სტუდენტებს კარგი საბაზისო, თეორიული ცოდნა ჰქონდეთ. ასევე მნიშვნელოვანია, მათ ეს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში განახორციელონ. გარკვეული პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლა საუნივერსიტეტო ბაზაზეც ხდება, მაგრამ სულ სხვაა, როცა ჟურნალისტის საქმიანობაში უშუალოდ ერთვები და იმ გარემოში ხვდები, სადაც გადაცემა კეთდება, სადაც ნიუსრუმია. ეს სასწავლო პრაქტიკა მნიშვნელოვანია კარიერული წინსვლისთვისაც, შეიძლება სტუდენტმა შემოთავაზებებიც მიიღოს და დასაქმების პერსპექტივაც გაჩნდეს“, — აღნიშნა ხათუნა კაჭარავამ.

მსგავსი პროექტები უნივერსიტეტსა და მედიასაშუალებებს შორის კიდევ იგეგმება, რომელიც მომავალში სტუდენტების პროფესიულ ზრდას და დაოსტატებას შეუწყობს ხელს. როგორც მიმართულების დეკანმა, პროფესორმა მარიამ გერსამიამ აღნიშნა, ახლო მომავალში მემორანდუმი გაფორმდება „დოიჩე ველეს აკადემიასთან“ და თსუ-ის სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, ამ პრესტიჟულ აკადემიაში აიმაღლონ კვალიფიკაცია.

„შეიძლება ითქვას, რომ მედია-განათლების რეფორმირება ახლა ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. ჩვენს მიმართულებას გადაერქვა სახელი და ეწოდება „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია”, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი) განათლების უფრო ფართო სპექტრს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ ჟურნალისტიკის სწავლებისას იყო. პროფესიული უნარების გამომუშავება ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, ჩვენ, მეშვიდე სემესტრის გარდა, მერვე სემესტრშიც დავამატეთ პრაქტიკული კურსები შემდეგ საგნებში: სამაუწყებლო მედია (ტელე), სამაუწყებლო მედია (რადიო), ბეჭდური მედია. მომავალი სასწავლო წლიდან სხვა სიახლეებსაც ველოდებით“, — განაცხადა მარიამ გერსამიამ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციას, სატელევიზიო გადაცემების ავტორებს, პროდიუსერებსა და ჟურნალისტებს, რომლებიც უანგაროდ უზიარებდნენ სტუდენტებს გამოცდილებას.

წიგნის თარო

ახალი სახელმძღვანელო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის

თამარ დადიანი

XIX საუკუნის ქართული გაზეთებისა და ჟურნალების დაარსების ისტორიის, ცალკეულ პერიოდულ გამოცემათა შინაარსის, მიმართულებისა და პოლიტიკის, მათ მიერ ქართული ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრისა და კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების ისტორიაში დატოვებული კვალის შესახებ მოგვითხრობს თსუ-ის პროფესორის, თამაზ ჯოლოგუას ავტორობით გამოცემული წიგნი-სახელმძღვანელო: „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, XIX საუკუნე“ (ნაკვეთი I).

წიგნში დეტალურადაა განხილული პირველი ქართული პერიოდული გამოცემები: პირველი ქართული გაზეთი, „ტფილისის უწყებანი“, „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, „კავკასიის მხარეთა უწყებანი“; გიორგი ერისთავის „ცისკარი“, ივანე კერესელიძის „ცისკარი“, „გუთნის-დედა“ და ასევე, ქართული პრესის გამოცემის ცდები 1831-1855 წლებში.

„მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება პოლიტიკური მიზანდასახულობის კულტურულ იდეოლოგიური ორთაბრძოლის ასპარეზად იყო გადაქცეული და ამ არსებითად სასიცოცხლო მნიშვნელობის ორთაბრძოლაში ერთერთი განმსაზღვრელი როლი ქართულმა ჟურნალისტიკამ იტვირთა...

სწორედ ქართულმა პრესამ, მწერლობასა და საზოგადოებრივ ინიციატივებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციებთან ერთად, შეძლო დასავლური სამყაროსგან მრავალსაუკუნოვან იზოლაციაში ნამყოფი, კულტურულად დაქვეითებული, პარტიკულარიზმის უმძიმესი სენით დაავადებული და, ამდენად, დაქსაქსული, და დაწრეტილი ეროვნული ნებისა და თვითშეგნების აღორძინება, გამთლიანება და გაძლიერება“, — ვკითხულობთ წიგნის შესავალში, რომელიც მრავალ საინტერესო ფაქტს და ქართველი მოღვაწეების თვალსაჩინო ღვაწლსა და საქმიანობას ასახავს.

XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის სისტემურ კვლევას დაახლოებით ერთი საუკუნის ისტორია აქვს. ამ სფეროში ნაყოფიერად მუშაობდნენ და მუშაობენ ქართველი მეცნიერები და მკვლევარები: ზ. ჭიჭინაძე, ა. ჯორჯაძე, დ. კარიჭაშვილი, პ. გუგუშვილი, ნ. ტაბიძე დ. ჩიკვილაძე, მ. წერეთელი და სხვანი, რომელთაც გამოქვეყნებული აქვთ არა ერთი საფუძვლიანი მონოგრაფიული გამოკვლევა თუ სამეცნიერო სტატია. ასევე, დაბეჭდილია წყაროები, გამოცემულია ანოტირებული ბიბლიოგრაფიები.

„ქართული ჟურნალისტიკის ისტორია ისწავლება საქართველოს არაერთ უმაღლეს სასწავლებელში. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, სტუდენტებს გაუიოლოს მეტისმეტად ვრცელ მასალაში ორიენტირება. ავტორს, რასაკვირველია, არა აქვს პრეტენზია XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ყოველმხრივი დახასიათება–ანალიზისა. სახელმძღვანელო, ბუნებრივია, ძირითადად ეყრდნობა წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებს, თუმცა მასში დამოუკიდებელი კვლევის შედეგებიცაა ასახული“, — ვკითხულობთ სახელმძღვანელოს შესავალში.

წიგნი სპეციალურად სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. თუმცა იგი XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ცხოვრების ისტორიით დაინტერესებულ მკითხველსაც წაადგება.



წიგნის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ იბერი, რეცენზენტები: ფილოლოგიის დოქტორები, პროფესორები: მაია წერეთელი და მანანა შამილიშვილი. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „ნეკერში“.

პროფილი

სამეცნიერო ოჯახის დიდი დიასახლისი

მისთვის ჩვეულ ამპლუაში დაგვხვდა — გაშლილი წიგნებით და სათარგმნად გამზადებული სამეცნიერო სტატიებით... წუხდა, უსათვალოდ კითხვას ვარ მიჩვეული და როცა მჭირდება, არ მახსენდებაო... მოგვიანებით ისიც მოგვიბოდიშა — უცხოურ ტექსტს ვთარგმნიდი და მგონი ისე ვერ გესაუბრეთ, როგორც საჭირო იყოო... არადა, გვესაუბრა დიდი მეცნიერისთვის ჩვეული სიდინჯით, დაფიქრებით და გულწრფელობით, გვიამბო ბავშვობაზე, სტუდენტობაზე, მეგობრებსა და ოჯახზე, ოღონდ ესაა — როცა დაბადებაზე ვკითხეთ – მცირე პაუზის შემდეგ ღიმილით გვიპასუხა — „მე ძალიან დიდი ხნის წინ დავიბადე“...

მაია ტორაძე

ის, მართლაც დიდი ხნის წინ დაიბადა დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახში. თითქმის საუკუნეა, უშურველად ემსახურება მეცნიერებას და თუ ვინმეს შეიძლება დღეს ქართული მეცნიერების პატრიარქი ეწოდოს, ერთერთი აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილია — ქალბატონი, რომლის მიერ განვლილი გზა არის მაგალითი ნიჭის, შრომისმოყვარეობის და პროფესიისადმი თავდადების ერთობლიობისა.

თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში, რომელსაც ქალბატონი ნინო 40 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა, მის მიმართ უდიდესი პატივისცემა და მოწიწება იგრძნობა. არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამ ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ დიმიტრი კორძაიას გავსაუბრებოდით და მას ნინო ჯავახიშვილის სამეცნიერო დამსახურებასა და მის მიერ ინსტიტუტის განვითარებაში შეტანილ წვლილზე არ მიეთითებინოს. ბევრჯერ მიფიქრია, რომ ქალბატონ ნინო ჯავახიშვილისა და ბატონ დიმიტრი კორძაიას ურთიერთობა არის ოსტატისა და შეგირდის მეგობრობის საუკეთესო მაგალითი — ის იშვიათი შემთხვევა, როცა ქვაზე დადებული მადლი ზუსტ მისამართს პოულობს.

ქალბატონი ნინო საკუთარ დამსახურებებს ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს, მაგრამ თუ მის ბიოგრაფიას გადახედავ, სულაც არ მოგეჩვენება ჩვეულებრივად, როცა ახალგაზრდა 26 წლისა მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 33 წლისა — მეცნიერებათა დოქტორი ხდება. 38 წლისა ის უკვე პროფესორი იყო. 47 წლის ასაკში აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 65 წლისა – აკადემიის ნამდვილ წევრად.

ქალბატონი ნინო 1959 წლიდან, ალექსანდრე ნათიშვილის გარდაცვალებიდან, 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა მორფოლოგიის ინსტიტუტს, 2006 წლიდან კი მისი საპატიო დირექტორია. მან, მოწაფეებთან და თანამშრომლებთან ერთად, განავითარა და დღესაც ავითარებს ქართულ ანატომიურ, ჰისტოლოგიურ, ემბრიოლოგიურ ტერმინოლოგიას, არის 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის ავტორი.

ნინო ჯავახიშვილის პიროვნული დახასიათებისას გვერდი ვერ ავუარეთ დიმიტრი კორძაიას მიერ გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც იგი მისი დიდი წინამორბედის ხასიათის შტრიხებს გამოკვეთს და წერს: „მემკვიდრეობითაც დაჰყვა და თვითონაც გამოიმუშავა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა შემოქმედებითობა, მაღალი ზნეობა, პირდაპირობა, ურთიერთობის ტალანტი, სიდარბაისლე, მომხიბვლელობა, დახვეწილი იუმორი, ძიების წყურვილი და შრომისუნარიანობა.“ ეს ის თვისებებია, რომელიც განგების წყალობით უნდა გაგაჩნდეს და მუდმივად ცდილობდე მის განვითარებას. ქალბატონმა ნინომ სწორედ ასე იცხოვრა — უფლის მიერ ნაბოძებ ნიჭს მუდმივად კვებავდა დაუზარელი შრომითა და მეცნიერისთვის ასე საჭირო რუტინული შრომით.

მისი სამეცნიერო ნაშრომებიდან და კვლევებიდან პროფესიონალები სხვადასხვა მეცნიერულ სიახლეს გამოყოფენ, ჩვენ ისევ დავესესხებით ბატონ დიმიტრი კორძაიას და სრულად მოვიყვანთ ამონარიდს მისი წერილიდან, სადაც ნაჩვენებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ქალბატონი ნინოს სამეცნიერო მემკვიდრეობა. წერილში ნათქვამია:

„ნინო ჯავახიშვილის კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება არტერიების ხელოვნური შემცვლელების ჩანერგვას. მან ღრმა მორფოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოავლინა ის ცვლილებები, რომელიც არაიშვიათად, ხდებოდა ხელოვნური შემცვლელის — ალოტრანსპლანატის დათრომბვის მიზეზი: ეს არის პროტეზის შიგნითა გამონაფენის, ანუ ნეოინტიმის ვასკულარიზაცია. ეს მოვლენა პრინციპულად განასხვავებს პროთეზის შიგნითა გამონაფენს არტერიის ინტიმასგან, რომელსაც არა აქვს სისხლძარღვები. ამასთანავე, მკვლევარმა აღწერა ამ ვასკულარიზაციის ტიპები, დაადგინა რომ ამ ახალი სისხლძარღვოვანი ქსელის მიკროცირკულაციური მოდულის სტრუქტურა დამოკიდებულია ალოტრანსპლანტატის ქსოვის ტიპზე და მიუთითა იმ პროტეზებზე, რომელთა გამოყენებაც შეიცავს დათრომბვის ნაკლებ რისკს. ამ კვლევებს დღემდე არ გააჩნია ანალოგი.

ნინო ჯავახიშვილის აღმოჩენები კლასიკურ გზას გადიოდა: ექსპერიმენტული ლაბორატორია – საერთაშორისო კონგრესი – სამედიცინო სინამდვილეში დამკვიდრება. ასეთივე ბედი ეწია მის მიერ გულში სინუსოიდური კაპილარების აღმოჩენას, თირკმლის არტერიის ვენით ჩანაცვლების შესაძლებლობის დამტკიცებას. გასული საუკუნის 60-იან წლებში მან საქართველოში პირველად გამოიყენა ექსპერიმენტში სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი, რომელიც დღესაც მუშაობს“.

ქალბატონი ნინო 50-ზე მეტ ქვეყანაშია ნამყოფი სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე. მისი სახელი მყარად არის დამკვიდრებული სამედიცინო საზოგადოების კლასიკოსთა შორის, ეგაა მხოლოდ, თავად არ მიაჩნია, რომ კლასიკოსია — შრომა და მუდმივი ძიება, რომელიც მეცნიერისთვის თანმდევი პროცესია, ქალბატონი ნინოსთვის ჩვეულებრივი ადამიანური თვისებებია.

ჩვენ შევეცადეთ ცოტა უფრო სხვა მხრიდან გვეჩვენებინა ნინო ჯავახიშვილი. ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე, რომელიც ვფიქრობთ, იმ საგაზეთო მასალებს შორის დაიდებს ბინას, რომლებითაც ვამაყობთ. ხუმრობა ხომ არაა — ჩვენი გაზეთის სტუმარია აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი:

— ქალბატონო ნინო, თქვენი მამა — აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვისაც წმინდა სახელია. ამიტომაც, ალბათ მოულოდნელი არ იქნება, თუ საუბარს თქვენი ოჯახით დავიწყებთ და ცოტა უფრო ახლოს გავიცნობთ იმ სამყაროს, რომელმაც ქვეყანას ორი აკადემიკოსი აღუზარდა. რას გაიხსენებდით ბავშვობიდან?

— მე ძალიან დიდი ხნის წინ დავიბადე მოსკოვში. მამამ, რომელიც გეოგრაფი და ანთროპოლოგი გახლდათ, მოსკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა და იქვე დარჩა სამუშაოდ. იმდენი ხნის წინ დავიბადე, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციაშიც კი მიმიღია მონაწილეობა. მართალია, მამას ვეჭირე ხელში, მაგრამ მახსოვს, რომ ამ რევოლუციის აღსანიშნავ სვლაში რაღაც პატარა ალამს ვაფრიალებდი.

ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი. მეორე სართულზე ვცხოვრობდით და თუ ჩემი და, რომელიც ჩემზე ძალიან პატარა იყო, იტირებდა, დედა არც გადმოიხედავდა ხოლმე, ისე მიყვიროდა — მოგკლაააავ!“. მსჯიდა კიდევაც... ვღლიდით დედას ძალიან — ასე გვეტყოდა ხოლმე, თქვენ წადით, მამასთან ერთად დაისვენეთ და მე აქ დავისვენებ უთქვენოდო...

ძალიან მალე წამოვედით მოსკოვიდან — ოქტომბრის რევოლუციას გამოვასწარით, მაგრამ მახსოვს, რომ თბილისში ჩამოსვლამდე გზაში ყველაფერი დავკარგეთ, მათ შორის, ჩვენი ოჯახის უმდიდრესი ბიბლიოთეკა — იმდენად ცუდი დრო იყო, ვერც მივაკვლიეთ ჩვენი ნივთები სად შეიძლებოდა დაკარგულიყო. თბილისში აბსოლუტურად ნოლიდან დავიწყეთ ცხოვრება.

მახსოვს, რომ ძალიან შეჭირვებულად ვცხოვრობდით და ამიტომაც ძირითადად გორის რაიონის სოფელ ძევერაში ვიზრდებოდით.

ჩემს თვალწინ გაიარა იმ პერიოდმა, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და მთავრობამ ქვეყანა დატოვა. მე მამაჩემის ტირილი არ მინახავს არასოდეს, მხოლოდ მაშინ ვნახე, როგორ ტიროდა... საერთოდ, მამასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა, თითქმის ყველაფერს მას ვეკითხებოდი...

— სკოლა სად დაამთავრეთ?

— თბილისში, თუმცა მანამდე სხვა სკოლაში ვსწავლობდი. ბებიას და ბაბუას დიდი ოჯახი ჰქონდა — მე და ჩემი და ყველაზე უმცროსები ვიყავით შვილიშვილებში და ამიტომ გვიან დავიწყეთ სწავლა. თავდაპირველად ჩემი უფროსი ბიძაშვილი გვასწავლიდა, რომელმაც თავად გადაწყვიტა მასწავლებლობა. მალე თბილისში გადმოვედით და მამამ ოთხწლედში მიგვიყვანა. მახსოვს, რომ სკოლაში შესვლის წინ გაგვესაუბრნენ და იმდენად ბევრი რამ მქონდა ნასწავლი, პირდაპირ მესამე კლასში დამსვეს. ოთხწლედის დამთავრების შემდეგ პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (ახლანდელი პირველი გიმნაზია) გადავედი.

— საინტერესოა, რა გარემო დაგხვდათ სკოლაში, სწავლების როგორი მეთოდები იყო მაშინ?

— ჩვენი სკოლის დირექტორი ძალიან განათლებული კაცი იყო და პედაგოგებიც თავისუფლად გვზრდიდნენ. ჩვენ არ გვქონდა პიონერია და კომკავშირული ორგანიზაცია. მერე, როცა ჩვენი სკოლის პროფილი შეცვალეს, ძალიან შეგვავიწროვეს კომუნისტებმა და სამმა მეგობარმა — მე, ვახტანგ ბერიძემ და ჩვენი დირექტორის ძმისშვილმა გადავწყვიტეთ ადრე დაგვესრულებინა სკოლა. მაშინ ასეთ გამოცდებს ასაკით უფროსი ადამიანები აბარებდნენ ხოლმე, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის — ამ სამმა მეტიჩარამ ეს გამოცდები ჩავაბარეთ, ატესტატი მივიღეთ და იმავე წელს სტუდენტებიც გავხდით. ეს იყო 1930 წელს — მე მხოლოდ 16 წლისა ვიყავი.

— კლასელებიდან ვის გამოარჩევდით, მათ შორის მეგობრები თუ გყავდათ?

— რა თქმა უნდა, მყავდა. მაგალითად, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, რომელიც დიდხანს შემომრჩა ცხოვრების გზაზე და თავად აღნიშნავდა ხოლმე — „ეჰ ნინო, მხოლოდ მე და შენ დავრჩითო“. საერთოდ, ძალიან კარგი კლასი და სკოლა გვქონდა — ჩემი თაობიდან 7 აკადემიკოსი აღიზარდა და ეს პატარა საქმე არ არის.

— რომელი მეცნიერება გიზიდავდათ ყველაზე მეტად, საგნებს ერთნაირად სწავლობდით?

— კი. ყველა საგანი ერთნაირად მაინტერესებდა, მაგრამ არც ექიმობაზე მიოცნებია და არც მეცნიერებაზე. მე კარგად ვხატავდი. როცა სკოლა დავამთავრე, მივედი მამასთან და ვუთხარი, რომ მხატვრობა მინდოდა. მამამ მკითხა: შვილო, გაქვს კი მაგდენი ნიჭი? კარგი ექიმი არ აჯობებს ცუდ მხატვარსო?

— და თქვენც დაუჯერეთ?

— დიახ, დავუჯერე... მაგრამ ხატვა არასოდეს მიმიტოვებია. ჩემს მხატვრულ ნიჭს ახლა ჩემს სპეციალობაში ვიყენებ. როცა ლექციებზე და კვლევებში თვალსაჩინოებისთვის ხატვა მჭირდება — თავად ვაკეთებ ამას.

— მოღვაწეობა პრაქტიკული მედიცინიდან დაიწყეთ?

— დიახ, სულ ვმუშაობდი ექიმად, ჯერ სისხლის გადასხმის ინსტიტუტში, სადაც დავწერე ჩემი პირველი დისერტაცია, მერე გადავედი სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც ლექციებს ვკითხულობდი და ანატომად ვმუშაობდი. ბოლოს, როცა უკვე ჩემი მასწავლებელი, ალექსანდრე ნათიშვილი აღარ იყო, მორფოლოგიის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა და დღემდე აქ ვარ.

ნინო ჯავახიშვილი მამასთან — ალექსანდრე ჯავახიშვილთან და მეუღლესთან — მემედ კომახიძესთან ერთად

საექიმო პრაქტიკაში ძალიან მეხმარებოდა ჩემი მეუღლე — მემედ კომახიძე. თავიდან ისიც ანატომიაში მუშაობდა, მოგვიანებით კი მკურნალ ექიმად დაიწყო მუშაობა. მასთან ერთად არაერთი ოპერაცია და კვლევა ჩამიტარებია, მე მას ვენდობოდი. სხვათა შორის, ადრე გავთხოვდი. მაშინაც მამასთან მივედი და ჩემი გადაწყვეტილება გავანდე, რაზეც უარი არ მიმიღია. კარგი არჩევანი გავაკეთე. მე და ჩემი მეუღლე არა მხოლოდ კოლეგები, კარგი მეგობრებიც ვიყავით.

— ქალბატონო ნინო, თქვენ ხანგრძლივი ცხოვრებით იცხოვრეთ. მთელმა საბჭოთა პერიოდმა, მათ შორის, 30-იანმა წლებმაც, თქვენს თვალწინ გაიარა და იმ წლებში ალბათ ბევრი ადამიანი (კოლეგა, მეგობარი) დაკარგეთ. საინტერესოა, თქვენ როგორ აგიარათ გვერდი რეპრესიებმა?

— არ ვიცი, რატომ მოხდა ასე, მაგრამ არც მე და არც ჩემს დიდ ოჯახს ეს რეპრესიები არ შეხებია. რომ ვუფიქრდები, ვვარაუდობ, რომ ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო — ჩვენ მხოლოდ ჩვენი პროფესიით ვცხოვრობდით და არასოდეს ვერეოდით პოლიტიკაში.

— თქვენი ცხოვრების რომელ ეტაპს გამოარჩევდით, რამ გაგახარათ ყველაზე მეტად?

— ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ვიცხოვრე. ამიტომ ყველა ის წარმატება მიხაროდა, რაც ცხოვრების განმავლობაში მქონია. განსაკუთრებით გავიხსენებ ჩემს დისერტაციებს, რომლებსაც მოსკოვიდან არაერთი დადებითი მოსაზრება მოჰყვა. სხვათა შორის, ჩვენი დისერტაციები მაშინ სწორედ მოსკოვში, ე.წ. „ვაკში“ იგზავნებოდა, საიდანაც არავის ჰქონდა უფლება, გამოეტანა ამბავი თუ რა დისკუსია მიმდინარეობდა დისერტაციის შესახებ. სწორედ ვაკიდან გამოჟონა მაშინ ჩემი დისერტაციის შეფასებამ — კომისიის ერთერთმა წევრმა დაურეკა ჩემს მასწავლებელს და უთხრა, რომ დისერტაცია ძალიან მოეწონათ, ის ემოცია ახლაც მახსოვს. საერთოდ, ძალიან გამიმართლა, რომ მთელი ცხოვრება გვერდით ძალიან კარგი ადამიანები მყავდნენ.

— კოლეგებს გულისხმობთ?

— კოლეგებსაც და მეგობრებსაც, ისე მოხდა, რომ ჩვენთან ბევრი დიდი ადამიანი მეგობრობდა, მათ შორის, მეცნიერები, მსახიობები, მხატვრები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები. ჩემს მეგობრებს შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე უცხოელებიც. სამწუხაროდ, აღარავინ შემომრჩა...

— ამ ეტაპზე რას მოიცავს თქვენი სამეცნიერო ინტერესები?

— მთელი ცხოვრება ვიმუშავე სისხლძარღვებზე, ახლა კი შაქრის დაავადებებზე ვმუშაობ, რომელიც ძალიან მძიმე და გავრცელებული დაავადებაა. ვცდილობ, სანამ შემიძლია საქმე ვაკეთო...

— ქალბატონო ნინო, თქვენი თაობის დიდი ნაწილისთვის თანამედროვე ცხოვრებიდან ბევრი რამ, მათ შორის მეცნიერებაშიც, მიუღებელია, თქვენ რას იტყოდით, როგორი თაობა მოდის, როგორი მეცნიერები იზრდებიან?

— არ შეიძლება ახალი თაობა არ იყოს შენზე უკეთესი. მათ მეტი რამ იციან... მიხარია, რომ არის ხალხი, რომელსაც მეცნიერება აინტერესებს. მომწონს მათი მიზანდასახულობა... საერთოდაც, არასოდეს ვყოფილვარ სიახლეებისადმი ცუდად განწყობილი...

— ეს არის იმის მიზეზი, რომ თქვენსა და მორფოლოგიის ინსტიტუტის დღევანდელ ხელმძღვანელს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობაა?

— იცით, მე და ბატონი დიმიტრი მგონი ერთადერთი წყვილი ვართ ამგვარ ინსტიტუტებში, რომელსაც უსიამოვნება არ მოსვლია... ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის, ალბათ ორივენი ასეთები ვართ — ერთმანეთს პატივს ვცემთ. მომწონს რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შევუერთდით, თუმცა მეცნიერებათა აკადემია რომ უფრო ცოცხალი ორგანიზმი ყოფილიყო, კარგი იქნებოდა.

— რით სუნთქავს დღეს აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, როგორ ცხოვრობს?

— მეგობრებიდან აღარავინ დამრჩა. რადგანაც ჩემი შვილები არ მყავს, დისშვილთან ერთად ვცხოვრობ. ოთხი შვილთაშვილი მყავს. მათგან ერთი ექიმია, მაგრამ არა ჩემი სპეციალობის. მაინც შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, რადგან იმ საქმეს ვაკეთებ, რაც მიყვარს და რასაც მთელი ცხოვრება ვემსახურები.

* * *

ბატონი დიმიტრი კორძაია ამბობს, არ შემხვედრია პიროვნება, რომელსაც ქალბატონ ნინოსთან ხელმეორედ შეხვედრის სურვილი არ გასჩენოდესო... ჩვენც მათ შორის ვართ. ამ დიდი ქალბატონის საოცარი ხიბლი ისაა, რომ შენში რაღაც მშობლიურსა და მზიანს ტოვებს. ამიტომაც გვინდა ქალბატონი ნინო მის საუკუნოვან იუბილეზეც ასეთივე მხნე და შრომაში ჩაბმული ვნახოთ...

1978 წლის 14 აპრილის მოვლენებზე პირველი წიგნი გამოიცა

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ერი ყოველ წელს დედაენის დღეს ზეიმობს. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ენის შენარჩუნებისთვის ბრძოლის თარიღის — 1978 წლის 14 აპრილის ამსახველი დოკუმენტური მასალა ძალიან მწირია. ახალ თაობებს დედაენის დღის შესახებ ინფორმაციის მიღება, ძირითადად, ზეპირი გადმოცემების საშუალებით შეეძლოთ. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრმა, ხელნაწერთა ინსტიტუტის საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომელმა ანა ბაქანიძემ ამ დეფიციტის შევსება სცადა. მან 14 აპრილის დემონსტრაციაში მონაწილე უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და დისიდენტური მოძრაობის წევრების მონათხრობი ერთ წიგნში „1978, 14 აპრილი“ გააერთიანა და ზეპირი ისტორიებით 1978 წლის მოვლენები აღადგინა.

ნატო ოგოლაძე

„2008 წელს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება ვითავეთ. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, მოგვეძიებინა ინფორმაცია 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების შესახებ. იმ დროს ქართველმა ახალგაზრდებმა უდიდესი საფრთხის ფონზე შეძლეს ეროვნული ღირსების დაცვა და არ დაემორჩილნენ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას — კონსტიტუციის ახალი პროექტიდან ამოეღო საკანონმდებლო მუხლი, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებდა. აღმოჩნდა, რომ გარდა მცირეოდენი საგაზეთო სტატიისა და რამდენიმე მოგონებისა, ამ ამბებზე არც დოკუმენტური და არც სამეცნიერო მასალა არ არსებობს. არადა, 1978 წელის მოვლენების აქტიური მონაწილეები დღეს ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი წევრები არიან. მათ ჯერ კიდევ ახსოვთ არაერთი დეტალი თუ ეპიზოდი, რაც სათანადო წარმოდგენას შეგვიქმნის სამი ათეული წლის წინ განვითარებულ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე. სწორედ, აქედან გაჩნდა იდეა, შეგვეგროვებინა აღნიშნული მოვლენების მონაწილეთა ზეპირი ისტორიები და გამოგვექვეყნებინა“, — გვითხრა ანა ბაქანიძემ. წიგნში „1978, 14 აპრილი“ შესულია თამარ მახარობლიძის, თამარ ჩხეიძის, დარეჯან თვალთვაძის, ვასილ მაღლაფერიძის, პაატა ვეშაპიძის, დამანა მელიქიშვილის, ნოდარ ასათიანის, ზაზა ალექსიძის და ქართული საზოგადოების არაერთი ღირსეული წევრის მოგონებები.

ანა ბაქანიძე წიგნის მეორე ნაწილის გამოცემასაც აპირებს, რადგან 1978 წლის დემონსტრაციაში მონაწილე ბევრი ადამიანის ისტორიის ერთ კრებულში მოთავსება ვერ მოხერხდა. სამომავლოდ, იგი ამ მასალებზე დაყრდნობით, სამეცნიერო კვლევის დაწყებასაც გეგმავს. წიგნის — „1978, 14 აპრილი“ რედაქტორი ანა ბაქანიძესთან ერთად თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძეც გახლავთ.

„ეს წიგნი პირველი ბეჭდური პროდუქციაა, რომელიც 14 აპრილის მოვლენებს ასახავს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ „1978, 14 აპრილი“-ის გამოცემა ახალგაზრდა მკვლევარის მიერ საკმაოდ სერიოზული საკითხის სამომავლო კვლევისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯია. წიგნში შესულია იმ ადამიანების ზეპირი ისტორიები, რომლებიც 14 აპრილის დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ და ახსოვთ ამ დღეს მოპოვებული გამარჯვება“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.



წიგნი „1978, 14 აპრილი“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ-ის „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ დაფინანსებით გამოიცა. ტირაჟი 300 ცალს შეადგენს და დაინტერესებულ მკითხველს მისი გაცნობა თბილისის ყველა ბიბლიოთეკაში შეუძლია. აღსანიშნავია, რომ 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებზე გამოცემული პირველი წიგნის პრეზენტაცია თსუ-ში მოეწყო. ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ დირექტორი სალომე ბენიძე, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

„რა თქმა უნდა, ყველამ კარგად იცის 14 აპრილის მნიშვნელობა, მაგრამ უშუალოდ მონაწილეების მიერ მოთხრობილი ისტორიები მაინც ყოველთვის განსხვავებულია. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანისთვის, ვინც საქართველოს უახლესი ისტორიით არის დაინტერესებული, ეს წიგნი შესანიშნავი საჩუქარია. ანა ბაქანიძემ ძალიან საინტერესო რესპონდენტები შეარჩია. მათი უმეტესობა საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანია. ეს წიგნი ბევრ ადამიანს გაახარებს“, — გვითხრა „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ დირექტორმა სალომე ბენიძემ.

წიგნის „1978, 14 აპრილი“ პრეზენტაციაზე გამოფენაც გაიმართა. ექსპოზიციაზე 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალა იყო წარმოდგენილი, მათ შორის სტუდენტების მიერ გაგზავნილი საპროტესტო ქვითრები, უნივერსიტეტის სხვადასხვა კათედრაზე ჩატარებული კრების ოქმები და სხვა.

ახალი სამეცნიერო ლიტერატურა იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს ხელი შეუწყოს ფაკულტეტის სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ახალ-ახალი სახელმძღვანელოებითა და ჟურნალებით ამდიდრებს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკას. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმძღვანელოების ავტორები და შემდგენლები, ხშირ შემთხვევაში, ფაკულტეტის მაგისტრები და დოქტორანტები არიან, რომელთა ნაშრომებს რეცენზირებას ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები უწევენ.

თამარ დადიანი

სტუდენტების სამეცნიერო თემებით დაინტერესება და მეცნიერული საკითხების კვლევა მათი აქტიური და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, რომელიც კარგად ჩანს სტუდენტების ნაშრომებიდან. მათ მიერ წარმოდგენილი ლიტერატურა იურისპრუდენციით დაინტერესებულ ნებისმიერი გემოვნებისა და ინტერესის მომხმარებელს დააკმაყოფილებს. სწორედ ეს აღნიშნეს 25 აპრილს თსუ-ში გამართულ სამართლებრივი გამოცემების პრეზენტაციაზე, სადაც სამართლის ჟურნალ „სარჩევი“ 2-სა და მარიამ ხოფერიას წიგნის — „სამართლის ისტორიის ტერმინთა ლექსიკონის“ პრეზენტაცია გაიმართა.

„სამართლის ისტორიის ტერმინთა ლექსიკონი“ გახლავთ დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის შედგენის იდეა რამდენიმე წლის წინ დაიბადა. ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორიისა და რომის სამართლის სასწავლო კურსების უკეთ გასააზრებლად და შესასწავლად.

„ფაქტია, რომ სამართლისმცოდნისთვის ტერმინოლოგია ის ძირითადი საყრდენი კარკასია, რომლის მიხედვითაც იგება მისი მსჯელობა და შესაძლებლობას აძლევს მას შინაარსის ინტელექტუალური მხარე მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს.

მეცნიერების ნებისმიერი დარგი, მათ შორის იურისპრუდენცია, თავისი შინაარსით უხვად მოიცავს უცხოურ ტერმინებს; საერთო ენის სიტყვასთან შედარებით კი, ტერმინს მეტი სემანტიკური დამოუკიდებლობა, შინაარსობრივი სიცხადე და ზუსტი დეფინიცია აქვს, რაც ნიშნავს წინასწარ შეთანხმებულ, მკაცრად დათქმულ განსაზღვრებას.

უცხოურ ტერმინებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სიტყვის აკუსტიკური ჟღერადობაც, რომელსაც ყოველი ენა თავის ფონეტიკურ კანონზომიერებას უმორჩილებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა ახალ სიტყვას ისევე ეპყრობა, როგორც საკუთარს და ამის შედეგია მისი ფონეტიკური გარსის მოდიფიკაცია. წინამდებარე ლექსიკონი სტუდენტებს იურიდიული ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე სწორად წარმოთქმის და სწავლის მხრივაც დაეხმარება“, — აღნიშნა სახელმძღვანელოს — „სამართლის ისტორიის ტერმინთა ლექსიკონის“ ავტორმა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორმა მარიამ ხოფერიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისათვის ლექსიკონის სამეცნიერო რედაქტორს პროფესორ ნუგზარ სურგულაძეს, რეცენზენტებს, ასოცირებულ პროფესორებს: მარინა გარიშვილსა და დავით ბოსტოღანაშვილს, ბერძნულენოვან ტერმინებზე გაწეული დახმარებისათვის, ასისტენტ პროფესორს დ. ჩიკვაიძეს, ასევე, ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წევრებს დიმიტრი გეგენავასა და დემეტრე ეგნატაშვილს.

ამავე დღეს „საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებამ“ პერიოდული სამეცნიერო გამოცემა სამართლის ჟურნალი „სარჩევი“-ს პრეზენტაცია წარმოადგინა.

ჟურნალი ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ორი ცნობილი და ღირსეული პროფესორის გია ქირიასა და რევაზ გოგშელიძის ხსოვნას.

ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრები არიან: დიმიტრი გეგენავა (მთავარი რედაქტორი), დემეტრე ეგნატაშვილი (აღმასრულებელი რედაქტორი.), დავით ჯაიანი, თამარ ხუბაშვილი, თამარ მელიქიშვილი (სარედაქციო კოლეგიის წევრები).

„სამართლის ჟურნალის „სარჩევი“-ს მიზანი სტუდენტებში სამეცნიერო კვლევითი უნარების გამომუშავება და მეცნიერული წერის კულტურის ამაღლებაა. ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნების საშუალება ეძლევათ საქართველოს ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი იურიდიული განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებს. „ჩვენი მიზანია ჟურნალის ყოველი მომდევნო ნომერი გაცილებით უკეთესი იყოს წინასთან შედარებით. „სარჩევი“ ორიენტირებულია მუდმივ განვითარებასა და მაღალ ხარისხზე. ჩვენ ვცდილობთ, ახალგაზრდა მკვლევარებისათვის დავამკვიდროთ სამეცნიერო ნაშრომის მაღალი სტანდარტები, რათა მომავალში სწორედ ეს ჟურნალი იქცეს მათთვის დიდ მეცნიერებაში გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტმა, ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა დიმიტრი გეგენავამ

ჟურნალ „სარჩევი“-ს საგამომცემლო საქმეს უძღვება „საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება“. ამასთან, სარედაქციო საქმიანობის ფარგლებში იგი თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტთან, მის აკადემიურ პერსონალთან და ახალგაზრდულ ორგანიზაცია „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო“-სთან (ELSA Georgia) თანამშრომლობს. ჟურნალი წელიწადში 2-ჯერ გამოდის. ამ დრომდე გამოცემულია მისი 2 ტომი. იგი ვრცელდება ელექტრონული სახით საზოგადოების ვებ-გვერდისა (www.SAMS.ge) და იურიდიული ლიტერატურის სხვადასხვა ელექტრონული ბიბლიოთეკის (www.LIBRARY.COURT.ge) საშუალებით. მისი მოძიება, შესაძლებელია აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკასა და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა ახალგაზრდა ავტორებს წარმატებული ნაბიჯი მიულოცა და ამერიკის უნივერსიტეტებთან დამყარებულ ინსტიტუციონალურ კონტაქტებზეც ისაუბრა: „სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლის თანადგომითა და მონაწილეობით, თსუ-ში ჩამოვაყალიბეთ დავების ალტერნატიული მოგვარების ნაციონალური ცენტრი, რომელმაც საქართველოში მედიაციის ინსტიტუტი უნდა დააარსოს და სხვადასხვა საკითხებზე იმუშაოს. სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენ ტეხასის სამართლის ინსტიტუტს და მის გამომცემლობას ვეწვიეთ. მინდა აღვნიშნო, რომ ამ გამომცემლობაში დასაქმებულთა 90%-ს ბაკალავრები და მაგისტრები შეადგენენ. ძირითადი მეცნიერული კვლევები სწორედ სტუდენტების მიერ ხორციელდება. ჩვენ იქ 5 ჟურნალი ვნახეთ. ჟურნალების სარედაქციო კოლეგიაში, ძირითადად, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები არიან, რომელთაც ზედამხედველობას პროფესორები უწევენ. ამ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების დიდი ნაწილი სტუდენტებს ეკუთვნით და დღეს ჩვენს უნივერსიტეტში ჟურნალ „სარჩევის“ გამოცემით სწორედ ასეთ ტრადიციას ეყრება საფუძველი. თვალ-ყურს ვადევნებ ჟურნალის პერიოდიკას და მინდა გითხრათ, რომ აქ გაშუქებული საკითხები უფრო და უფრო აქტუალური ხდება“.

ჟურნალ „სარჩევი“-ის აღმასრულებელმა რედაქტორმა დემეტრე ეგნატაშვილმა ყურადღება ჟურნალის შინაარსობრივ მხარეზე გაამახვილა.

„სამშენებლო სამართალი და მისი სამართლებრივი ბუნება“ (დიმიტრი გეგენავა); ქალაქთმშენებლობა სამშენებლო სამართალში“ (ბექა წიკლაური); „ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ძირითადი ასპექტების მიმოხილვა“ — ეს ის აქტუალური საკითხებია, რომელსაც ჟურნალში სხვა საინტერესო ნაშრომებთან ერთად გაეცნობით.

„გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ჩემი სტუდენტებისგანაც ბევრს ვსწავლობ. დღეს აბსოლუტურად შეიცვალა მიდგომები, მარტო სამაგისტრო ნაშრომებს რომ გადავხედოთ, ერთი კი არა, რამდენიმე ჟურნალი არ ეყოფა მათ გამოქვეყნებას. ზოგიერთი მათგანი სადოქტორო დისერტაციასაც კი აღემატება. ეს კარგი ტენდენციაა და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ.

პრეზენტაციაზე გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს ახალი გამოცემების მნიშვნელობას და ახალგაზრდა ავტორებს წარმატებები უსურვეს.

მანფრედ კორფმანი — ტროას უკვდავების შემოქმედი

შურთხია ბეროშვილი

26 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ორგანიზებით ცნობილი გერმანელი მეცნიერის მანფრედ კორფმანის ხსოვნისა და დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილი სხდომა გაიმართა.

შეხვედრაზე გერმანელი კოლეგა ქართველმა მეცნიერებმა დიდი სიყვარულით გაიხსენეს. თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა რისმაგ გორდეზიანმა მეცნიერის დამსახურებაზე ვრცლად ისაუბრა და გაიხსენა, რა მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მანფრედ კორფმანს ტროას არქეოლოგიურ კვლევებში. „მანფრედ კორფმანი გახლავთ ის პიროვნება, რომელიც ჩაეწერა ჰომეროსის მიერ უკვდავყოფილი ქალაქის, ტროას, არქეოლოგიური კვლევების ისტორიაში. ჰომეროსმა რასაც ხელი შეახო, ყველაფერი უკვდავყო. კითხვა: ბოლოს და ბოლოს, არსებობდა თუ არა ტროა? — დღესაც არსებობს, და ამაზე კამათი კვლავაც გრძელდება, მაგრამ ფაქტია: ის ტროა, რომელიც ჰომეროსმა შექმნა, მართლაც, საოცარი ქალაქია, რომელიც არამარტო უკვდავყოფილია, იგი თავად არის უკვდავმყოფელი, რადგან ვინც ტროას არქეოლოგიასთან არის დაკავშირებული, დღემდე ძალიან პოპულარული ადამიანები არიან, მათ შორის არის ცნობილი მეცნიერი მანფრედ კორფმანი“, — განაცხადა მან.

1988 წელს მანფრედ კორფმანმა მიიღო ლიცენზია თურქეთის ხელისუფლებისგან და ახალი, ყველაზე უფრო ხანგრძლივი და საფუძვლიანი ექსპედიცია დაიწყო ტროაში, სადაც, სხვა სპეციალისტებთან ერთად ქართველი არქეოლოგებიც მონაწილეობდნენ. მან უპრეცედენტო სამუშაო გასწია და წესრიგში მოიყვანა მთელი კარტოგრაფიული თუ ფოტოგრაფიული მასალა, გადაიღო ფილმი ტროაზე და რაც მთავარია, დააარსა სტუდია „ტროიკა“.

„სიამაყით აღვნიშნავ, რომ მანფრედ კორფმანთან ჩვენს ინსტიტუტს და ქართველ არქეოლოგებს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ეს დიდი მეცნიერი ყოველ ზაფხულს მოდიოდა ინსტიტუტში და გვაბარებდა ანგარიშს, გვიზიარებდა თავის მოსაზრებას და რაც მთავარია, გვთვლიდა პარტნიორებად, რაც ჩვენთვის დიდი პატივი იყო. დიდი წუხილი გვინდა გამოვთქვათ, რომ ის ჩვენს გვერდით აღარ არის“, — განაცხადა რისმაგ გორდეზიანმა და მანფრედ კორფმანის ქართველ კოლეგებთან გულითადი ურთიერთობის დასტურად დამსწრე საზოგადოებას კორფმანის წერილის შინაარსი გააცნო. მასში ნათქვამი იყო: „აგვისტოში 7 წელი გავიდა, რაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, მაგრამ ის ტკივილი არ გამნელებია, გთხოვთ, გადასცეთ ქართველ კოლეგებს ჩემი მადლიერება.

გერმანელი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა: ჯონი აფაქიძემ („მანფრედ კორფმანი და ტროას არქეოლოგია“), კიაზო ფიცხელაურმა („მანფრედ კორფმანი კავკასიის უდიდესი მკვლევარი“), ლევან გორდეზიანმა („ტროას ომის საკითხი და მანფრედ კორფმანი„) და კონსტანტინე ფიცხელაურმა („მანფრედ კორფმანი და კავკასია – ევროპის ურთიერთობის პრობლემა ბრინჯაოს ხანაში“).

„ტროას გათხრებზე ბოლოს 2003 წელს ვიყავი. მაშინ მეხუთედ მივიღე მონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში. 2005 წელს გარდაიცვალა ტროას გათხრების ხელმძღვანელი, ჩემი მასწავლებელი და მეგობარი მანფრედ კორფმანი, რომელსაც თურქები „ოსმან ბეის“ ეძახდნენ.

ბატონი კორფმანის გარდაცვალება ქართველი არქეოლოგებისთვის, კოლეგებისთვის და მსოფლიო არქეოლოგიური საზოგადოებისათვის დიდი დანაკლისია“, — აღნიშნა ჯონი აფაქიძემ.

მანფრედ კორფმანი

უნივერსიტეტში გატარებული ნახევარ საუკუნეზე მეტი

20 აპრილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, პეტრე მელიქიშვილის სახელობის დარბაზში, პროფესორ **აკაკი ლაბარტყავას** *ცხოვრებისა და საუნივერსიტეტო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა, სადაც თავი მოიყარეს ღვანლმოსილი პროფესორის კოლეგებმა, ყოფილმა მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. „მკაცრი“ ლექტორის მოღვაწეობაზე განსაკუთრებით თბილად საუბრობდნენ მისი ყოფილი სტუდენტები, რომლებიც პედაგოგის გამორჩეულ თვისებებზე საუბრობდნენ.*

შურთხია ბეროშვილი

„ამ დარბაზში დამსწრე საზოგადოება კარგად იცნობს ბატონ აკაკი ლაბარტყავას და იცის მისი უკომპრომისობის, ერთგულების, წესიერების, თავმდაბლობის, გამორჩეული შრომისმოყვარეობისა და პრინციპულობის შესახებ. მრავალი თაობის აღმზრდელი ბატონი აკაკი დღესაც უნივერსიტეტში მოღვაწეობს. იგი 53 წელია ერთგულად ემსახურება თავის საქმეს“, — განაცხადა ლადო ჭანტურიამ, რომელმაც მეცნიერის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპებიც გაიხსენა.

აკაკი ლაბარტყავას საუნივერსიტეტო ცხოვრება 1959 წლიდან იწყება. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი კათედრის თანამშრომლად დატოვეს. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1996 წელს კი სადოქტორო დისერტაცია.

აკაკი ლაბარტყავა დღეს უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის კათედრის ძველი თაობის ერთადერთი წარმომადგენელია. აღსანიშნავია, რომ პროფესორი ეკოლოგიური სამართლის პირველი სახელმძღვანელოს ავტორია. იგი საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიისა და ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრია.

„მრავალი თვისებების გამო იმსახურებდა ბატონი კაკო პატივისცემას კოლეგების მხრიდან, მას თვისი პრინციპულობა და შეუპოვრობა მრავალგზის დაუმტკიცებია.

ჩემი თაობის იურისტებს ბატონი კაკო გვახსოვს, პირველ რიგში, როგორც იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, რომლის შიშით ფაკულტეტზე „დაბლა ჭიანჭველა ვერ გაივლიდა“ და „მაღლა ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა“. ამბობენ, მისი კაბინეტის კედლებს, დღემდე ბზარები აქვსო, „მრისხანე“ დეკანის მოადგილე უწესო, ზარმაც სტუდენტებს არაფერს პატიობდა, მისი დამსახურება იყო, რომ მათ ხელმეორედ ლექციაზე დაგვიანების და გაცდენის სურვილიც კი აღარ უჩნდებოდათ. ბატონი აკაკი გამორჩეულად მზრუნველი პედაგოგი იყო, შეიძლება მისი „მეთოდები“ დღევანდელი გადასახედიდან მიუღებლად ჩანდეს, მაგრამ დისციპლინა, წესრიგი, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა ბატონი აკაკისთვის წმინდა და ხელუხლებელი ღირებულებები იყო და ამ ღირებულებებს ყავლი არც ერთ დროში არ გასდის.

მახსენდება ჩემი სტუდენტობის პერიოდი, როდესაც ქვეყანაში ხშირად ეწყობოდა აღლუმები, რის გამოც სტუდენტებს ლექციების გაცდენა და „მარშიროვკებზე“ სიარული უწევდათ, — ბატონი კაკო კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ სტუდენტს რაიმე მიზეზით ლექცია გაეცდინა და ამას ხმამაღლა აპროტესტებდა. ამის გამო ადმინისტრაცია იძულებული გახდა მისი აზრი გაეთვალისწინებინა და „მარშიროვკები“ ლექციების შემდეგ გადაეტანა.

კიდევ ერთი შემთხვევას გავიხსენებ ბატონი კაკოს შეუპოვრობის დასამტკიცებლად. კანონში სასოფლო სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ რამდენიმე ცვლილება შევიდა, რომელთაც იგი არ ეთანხმებოდა. საყურადღებოა, რომ ამ კანონის ერთადერთი კომენტარი მისია. მან მანამდე არ მოისვენა, სანამ პარლამენტმა ეს საკანონმდებლო ნორმები კვლავ არ აღადგინა. მაშინ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილი იყო, მათმა ერთობლივმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო.

XIX საუკუნის ევროპაში სამართლის მეცნიერების თაობაზე გამართული დისკუსია დღემდე გვახსენებს თავს. გერმანელი იურისტის კირხმანის სიტყვები ამჟამადაც აქტუალურია: „მეფის სამი ძლევამოსილი სიტყვა და მთელი იურიდიული ბიბლიოთეკები მაკულატურად გადაიქცევა“. ჩვენს დროშიც მრავალჯერ მომხდარა ასე: განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლამ და კომუნისტური წყობილების დანგრევამ ისტორიის კუთვნილებად აქცია სამართლის დარგები, რომელთაც ბატონი კაკო გასაოცარი მონდომებით ასწავლიდა წლების მანძილზე. არც ერთ საგანში არ მოუმზადებიათ სტუდენტებს ასე გულდასმით მეცნიერული ნაშრომები, როგორც მიწის და საკოლმეურნეო სამართალში. ამის გამო სტუდენტები ხშირად ხუმრობდნენ: „თუ ლაბარტყავას „მიწას“ ჩააბარებთ, იცოდეთ, რომ უნივერსიტეტი დამთავრებული გაქვთო.

აკაკი ლაბარტყავა დიდი მეცნიერია, რომელმაც მრავალი თაობის ქართველ იურისტებში დაუვიწყარი კვალი დატოვა, ამიტომ ვსაუბრობთ დღეს მისი მოწაფეები ასეთი სიყვარულით და პატივისცემით, პედაგოგისთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ამ ბედნიერებით ტკბობას კიდევ დიდხანს ვუსურვებთ მას“, — განაცხადა ლადო ჭანტურიამ.

საიუბილეო საღამოს დაესწრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე, რომელმაც აკაკი ლაბარტყავას მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა და სტუდენტობის წლები გაიხსენა. „ის ძალიან მკაცრი და მომთხოვნი ლექტორი იყო, ჩემი სტუდენტობის პერიოდში ქვეყანაში მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რაც სასწავლო პროცესზეც აისახებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის მოდიოდა ლექცია-სემინარებზე და ყველამ ვიცოდით, რომ გაცდენა არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, ბატონი აკაკი ხშირად გვესაუბრებოდა ზოგადსაკაცობრიო თემებზე, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. მისგან თითოეულმა ჩვენგანმა ბევრი ვისწავლეთ, ყოველთვის ვგრძნობდით დიდ სითბოს და სიყვარულს და ამისთვის მადლიერები ვართ“, — განაცხადა ირინა ქურდაძემ.

იუბილარს მიესალმა თსუ-ის სამართლის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი დავითაშვილი: „ჩვენი დროის იურიდიული ფაკულტეტის ნამდვილი სიმბოლო იყო აკაკი ლაბარტყავა. იმ თაობის სტუდენტი ვარ, როდესაც იურიდიულ ფაკულტეტზე „კაკოს ეპოქა“ იყო. ამ ადამიანმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა უნივერსიტეტს და სტუდენტების აღზრდას... სწორედ მისი დამსახურებაა ის წესრიგი, რომელიც მაშინ შეიძლება დიდად არ მოგვწონდა, მაგრამ შემდეგ მას მადლობას ვეუბნებოდით ასეთი დამოკიდებულებისათვის. მიხარია, რომ დღეს მის გვერდით მიწევს მუშაობა ფაკულტეტზე... იგი თავის უზარმაზარ გამოცდილებას კვლავ გადასცემს ახალგაზრდა თაობას, კოლეგებსა და სტუდენტებს“.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „გორგასალის“ პრორექტორმა ზაურ ჯინჯოლავამ აკაკი ლაბარტყავას უკომპრომისობაზე და პრინციპულობაზე ისაუბრა: „ბატონი აკაკი პატიოსნების განსახიერება იყო. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება სტუდ-ქალაქის საერთო საცხოვრებელში გაატარა, მაშინ, როდესაც მას შეძლო ყველაფერი ჰქონოდა. თბილისის საბინაო სამმართველოს ხელმძღვანელობამ მას რამდენჯერმე ურიგოდ შესთავაზა ბინა, მაგრამ უარი თქვა, რადგან ამ შემთხვევაში ვისაც რიგით ეკუთვნოდა, იმისთვის უნდა წაერთმიათ ბინა. ზოგადად, იგი სასტიკად ებრძოდა საბჭოთა პერიოდში გაბატონებულ პროტექციონიზმს, არ არსებობდა ხელისუფლების მაღალჩინოსანი თუ გენერალური მდივანი, რომლის აზრსაც გაითვალისწინებდა. პირიქით, მახსენდება შემთხვევა, როდესაც ერთერთმა მაღალჩინოსანმა სთხოვა თავისი ახლობლისთვის „ყურადღება მიექცია“, ბატონმა აკაკიმ დაიმედა, მაგრამ როდესაც მან სთხოვა, გვარი და სახელი ჩაიწერეო, ბატონმა აკაკიმ უპასუხა: ნუ შეწუხდებით, გვარი საჭირო არ არისო...“ მან ძნელი ცხოვრებით იცხოვრა, და მის მიერ განვლილი გზა სამაგალითოა“, — განაცხადა ზაურ ჯინჯოლავამ.

ბატონი აკაკი ლაბარტყავას იუბილე მიულოცეს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა, საქართველოს მთავარი პროკურატურის უფროსმა, პროფესორმა გიორგი ფერაძემ, ჟურნალ „მეოხის“ რედაქტორმა თემურ გოგსაძემ, სისხლის სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა გურამ ნაჭყებიამ, ადვოკატმა ნანა კალანდაძემ, თსუ-ის პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ, იურისტმა და მსახიობმა მერაბ სიჭინავამ, თსუ-ის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების უფროსმა ირმა ხარშილაძემ და სხვებმა.

იუბილარმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა დაფასებისთვის და დარბაზს მიმართა: „ასე იარა, იარა და გამოიარა სუჯუნელმა ბიჭმა 78 წელი და ამის შემდეგ, რასაც უფალი ინებებს, ისე იქნება ყველაფერი. გარწმუნებთ, ჩემი სიმკაცრის უკან ყოველთვის სიკეთე იმალებოდა, „შიშველი“ სიმკაცრე არასდროს მქონია.... ყოველთვის ვცდილობდი, მარტო საგანი კი არ მესწავლებინა ახალგაზრდებისთვის, არამედ ცხოვრება და მუშაობა, რადგან იურისტის საქმიანობა საპასუხისმგებლოა.

მინდა მადლიერებით გავიხსენო ის ადამიანები, ვისაც ჩემთვის სიკეთე გაუკეთებია, მათ შორის, გრიშა ქობალავა, რომელმაც მირჩია იურიდიულ ფაკულტეტზე ჩამებარებინა. 53 წელი გავატარე უნივერსიტეტში, 1975 წლიდან 1988 წლამდე დეკანის მოადგილე ვიყავი სასწავლო მუშაობის დარგში, — ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იყო, ვცდილობდი, ფაკულტეტზე დისციპლინა და სწავლების დონე მაღალი ყოფილიყო. ვთვლი, რომ ბევრი კარგი რამ გაკეთდა იმ პერიოდში. მაგალითად, სტუდენტების დასაქმების კუთხით. სტუდენტმა პირველი კურსიდან იცოდა, რომ თუ თავს გამოიჩენდა, კარგ სამსახურსა და კარიერას გაიკეთებდა. კარგი იქნება, თუ ამის საშუალება ახალგაზრდებს დღესაც ექნებათ“, — განაცხადა აკაკი ლაბარტყავამ.

„ყველაფერი ნამდვილი დასტურდება დროის მიერ და ამის მაგალითი აკაკი ლაბარტყავას ცხოვრება და მოღვაწეობაა“, — ითქვა საიუბილეო საღამოზე.

„თსუ-გორდელას“ სოლო კონცერტი

რამდენიმე წელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი „თსუ-გორდელა“ წარმატებით გამოდის სცენაზე. ანსამბლს ხშირად იწვევენ ღონისძიებებსა და კონცერტებზე, მასპინძლობენ სხვადასხვა ქალაქებში.

27 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ანსამბლ „თსუ-გორდელას“ სოლო კონცერტი გაიმართა. კონცერტი უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმართველობის ორგანიზებითა და ინიციატივით გაიმართა.

თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა თენგიზ ყურაშვილმა განაცხადა, რომ კონცერტი ერთი თვის წინ დაიგეგმა და მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლს გასვლითი კონცერტები ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, გოგონები სოლო კონცერტისთვის დიდი პასუხისმგებლობით მოემზადნენ.

კონცერტზე „გორდელამ“ მაყურებელს უკვე ცნობილი კომპოზიციების გარდა, ახალი რეპერტუარიც წარუდგინა: საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხალხური სიმღერა, იმერული ქალაქური სიმღერების პოპური და სხვადასხვა ახალი კომპოზიცია.

კონცერტზე ასევე შედგა სიმღერის პრემიერა, რომელიც ანსამბლის წევრმა, თამუნა ალადაშვილმა, 2011 წლის აგვისტოში ბათუმში დაღუპულ 18 წლის „შავფაროსან“ გიორგი ლალიაშვილს მიუძღვნა.

შეგახსენებთ, რომ ანსამბლი „თსუ გორდელა“ უკვე მეხუთე წელია არსებობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს. მათ მიერ შესრულებული ქართული ტრადიციული მუსიკა, რომელიც ანსამბლის ხელმძღვანელის ვლადიმერ (თამაზ) მამალაძის მიერ არის არანჟირებული, უკანასკნელ ხანს ახალგაზრდებში ძალზე პოპულარული გახდა

თენგიზ ყურაშვილის თქმით, ანსამბლის რეპერტუარი წლების განმავლობაში თანდათან დაიხვეწა, მომღერალ გოგონათა პროფესიონალიზმიც ამაღლდა და დღეისათვის სრულიად თავისუფლად შეიძლება მას ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანაც ვანდოთ. „ჩვენ გვინდა, რომ ეს გოგონები უცხოეთშიც ნახონ. მათი პოპულარობა და პროფესიონალიზმი იძლევა იმის საფუძველს, რომ დარწმუნებით ვთქვათ — მათ საზღვრებს გარეთაც წარმატებები ელით“, — განაცხადა მან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და დაინტერესებულ საზოგადოებას ხშირად ჰქონდეს საშუალება, გაეცნონ სტუდენტთა შემოქმედებას. ამ მიზნით თსუ-ის ახლად გახსნილ სააქტო დარბაზში უკვე გაიმართა ოთხი სპექტაკლი და ანსამბლ „თსუ-გორდელას“ სოლო კონცერტი.

მაისში დაგეგმილია თსუ-ის ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი. ასევე, მაისის ბოლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, „თსუ-გორდელა” და თსუ-ის ქორეოგრაფიული ანსამბლი ერთობლივად გამართავენ გრანდიოზულ კონცერტს.

ნათია კენჭოშვილი

TSU-ART — ექვსი ნიჭიერი მუსიკოსი და განსხვავებული ინტერპრეტაცია

ლაშა ლორთქიფანიძემ, დათუნა დგებუაძემ, ილია ჭუმბურიძემ, ირაკლი გოდერძიშვილმა, სანდრო ნარსიამ და გიორგი შარაშენიძემ ერთმანეთი ტამტამშოუზე გაიცნეს. ექვსმა ნიჭიერმა მუსიკოსმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ერთი წლის წინ მუსიკალური ბენდი TSU-ART ჩამოაყალიბა და მსმენელს უცნაური „საკრავებით“ განსხვავებული ჟღერადობის მუსიკა შესთავაზა.

თავიდან იყო „არტ-გენი”, „სტუდენტური დღეები”, სოლო კონცერტი კლუბ „ტრიუმფში”. ახლა მათ შემოქმედებით ცხოვრებაში ახალი ეტაპი — „ნიჭიერია“.

„პროექტში მონაწილეობა გადავწყვიტეთ, რადგან ფართო საზოგადოებამ გაიცნოს TSU-ART და მოუსმინოს განსხვავებული ინტერპრეტაციით შექმნილ მუსიკას“, — გვითხრა ილია ჭუმბურიძემ

ეს მუსიკა მრავალფეროვანი და გამორჩეულია. წყლის მილი, ბამბუკი, თიხის ქოთანი თუ ხისგან გამოთლილი ჩოგანი ბიჭებმა „საკრავებად“ აქციეს.

„დრამისა და გიტარის გარდა, ყველაფერს ჩვენი ხელით ვაკეთებთ. ახლახან ღვინის ბოცები შევღებეთ, ტყავი გადავაკარით და დასარტყმელი ინსტრუმენტი შევქმენით“, — თქვა ირაკლი გოდერძიშვილიმა.

TSU-ART-ის „საკრავები” ძალიან გამძლეა, და შესაბამისად, მათ ყოველ კონცერტზე ახლის გაკეთება არ უწევთ. ამასთან, როგორც ლაშა ლორთქიფანიძემ გვითხრა, „ერთია, რომ რაღაცებს იგონებ, მეორე კი, რამდენად შეგიძლია, შექმნა მუსიკა და არა უბრალოდ უბრახუნო“.

ბიჭების შთაგონების წყარო მუსიკალური ბენდი Safri Duo გახდა. უსმენენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკას, პოპს, ჯაზს, როკს, თუმცა ყველაზე მეტად ბლუზი მოსწონთ. მათი შემოქმედება, ძირითადად, როკისა და ჯაზის სინთეზს წარმოადგენს.

TSU-ART მათი ცხოვრების წესია. ყოველდღე თსუ-ის სარეპეტიციო ოთახში თანამედროვე მუსიკის შესაქმნელად რამდენიმე საათს ატარებენ.

„ჩემი ოჯახის წევრებს უფრო ნაკლებად ვხედავ, ვიდრე ბიჭებს. თითქმის სარეპეტიციოში ვცხოვრობთ. ინსტრუმენტებსა და ჟღერადობას ვქმნით, რადგან მუსიკა ჩვენი მოთხოვნილებაა, მის გარეშე არ შეგვიძლია“, — ამბობს დათუნა დგებუაძე.

TSU-ART-ის მოსმენა თბილისის სხვადასხვა კლუბში შეგიძლიათ — თუმცა ჯგუფის მხოლოდ რამდენიმე წევრის, ძირითადად მათი, ვინც დასარტყმელ ინსტრუმენტზე უკრავს.

სრული შემადგენლობით კი ბენდს მაისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის დარბაზში თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ კონცერტზე იხილავთ.

მანამდე ბიჭებს „ნიჭიერის” მეორე ტურში მოუსმენთ განახლებული რეპერტუარით — „შეშინებული აქლემი“.

თსუ გულშემატკივრობს TSU-ART-ის ბიჭებს და წარმატებებს უსურვებს მათ შემოქმედებით ცხოვრებაში!

თამარ შამათავა

იენის უნივერსიტეტიდან თსუ-ში

მარკო ფიბერს ელექტრონული ფოსტის საშუალებით დავუკავშირდით და პირველ კორპუსში შეხვედრაზე შევუთანხმდით.

გერმანული სიზუსტით მოვიდა... პუნქტუალურთან ერთად, იგი კომუნიკაბელურიც აღმოჩნდა.

„სამი წლის წინ გაცვლითი პროგრამით იენის უნივერსიტეტიდან ჩამოვედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იენის უნივერსიტეტს კავშირი აქვს კავკასიის ქვეყნების უნივერსიტეტებთან. ბევრი სტუდენტი ირჩევს საქართველოს და მეც დიდი სიამოვნებით წამოვედი თქვენს ქვეყანაში სასწავლებლად. ამ პროექტის ერთერთი დადებითი მხარე ის არის, რომ სტუდენტმა უნდა შეისწავლოს იმ ქვეყნის ენა, სადაც ის სწავლობს“, — აღნიშნა მარკო ფიბერიმ.

თუმცა მარკომ ჯერ-ჯერობით ქართულად მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცის და ჩვენი საუბარიც ინგლისურ ენაზე წარიმართა. მას ინგლისურ ენაზევე უტარებენ ლექციებს ქართველი ლექტორები (მხოლოდ ერთი ამერიკელი ლექტორი ჰყავს).

ჩვენთან იგი პოლიტიკურ მეცნიერებებს ეუფლება. იენის უნივერსიტეტში მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი დაამთავრა. მიაჩნია, რომ პოლიტიკური მეცნიერებები უფრო საინტერესო სფეროა და სწორედ ამიტომ აირჩია ეს განსხვავებული პროფესია. გაცვლითი პროგრამა ხუთწლიანია და მოიცავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდს.

„ძალიან მომწონს პროგრამა, შემიძლია ვთქვა, რომ შესანიშნავია. ლექციების გარდა ტარდება ტრენინგები, მასტერკლასები, ვორკშოპები. იენის უნივერსიტეტში საშუალოდ 200 სტუდენტი ესწრება პოლიტიკური მეცნიერებების ლექციას, აქ კი, მცირე ჯგუფია და უფრო მოსახერხებელია სწავლა. ვარ უნივერსიტეტის სტიპენდიატი“, — ამბობს მარკო ფიბერი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფინანსებს და ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებას, რომლის მეშვეობითაც მარკომ საქართველოს რამდენიმე კუთხეში იმოგზაურა.

„უნივერსიტეტიდან და ასევე პირადი ინიციატივით ვიყავი ბათუმში, სენაკში, ქუთაისში, თელავში. ახლა ვაპირებ უშგულში წასვლას, ძალიან მაინტერესებს თოვლიანი სვანეთის ნახვა“, — თქვა მარკომ ჩვენთან საუბარში.

ცხოვრობს უნივერსიტეტის მიერ დაქირავებულ ბინაში უცხოელ სტუდენტთან ერთად. ჰყავს ქართველი მეგობრები, მოსწონს ქართული კულტურა და სამზარეულო.

ივნისში, საზაფხულო არდადეგებზე, სამშობლოში მიემგზავრება. ბილეთი უკვე დაჯავშნილი აქვს. სექტემბრიდან კვლავ დაბრუნდება საქართველოში. სწავლის დასრულების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დარჩენასაც არ გამორიცხავს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურული და საგანმანათლებლო გამოცდილება. პროგრამის მიზანია უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გამყარება ევროკავშირის ქვეყნებისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის.

ლანა გიორგაძე

მთავარი რედაქტორის
მოვალეობის შემსრულებელი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ლიკა პეტრიაშვილი**
კომპიუტ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის
გამზ. 11ª
**(თსუ-ის მე-3
კორპუსი)**
2 22 36 62